645
1961/3



# საბჭოთა ქალი

თებერვალი № 2 1961 წ.



# ქალიშვილი ჭიკაანიდან

მისი ბიოგრაფია დღეიდან იწყება.

ერთი ციდა გოგოა, სახემღიმარი, ცისფერთვალება. სოფელში ხელმარჯვე ნათელას ეძახიან. უყვარდა სასკოლო ნაკვეთზე ფუსფუსი, თავს დასტრიალებდა ნარგავებს. მისი შრომა აბა მაშინ უნდა გენახათ, როცა არდადეგები ჰქონდა და კოლმეურნეობაში მუშაობდა. ტოლს არავის უდებდა.

ამ ორი წლის წინ დაამთავრა საშუალო სკოლა. ერთხანს უმაღლესშიც განიზრახა სწავლის გაგრძელება, მაგრამ რა დასამალია, კონკურსს ვერ გაუძლო.

სოფელში დაბრუნდა და კოლმეურნეობის კანტორას მიადგა. თავმჯდომარეს მტკიცედ განუცხადა — წევრად მიმიღეთო.

აბა უარს ვინ ეტყოდა. მოუწონეს ქალიშვილს საქციელი და სასახელო შრომისათვის გზა დაულოცეს.

პირველ წელიწადს მოსავლელად 0,75 ჰექტარი სიმინდის ნათესი გაუპიროვნეს, მზრუნველობა არ მოუკლია, მაგრამ მოსავალი 30 ცენტნერს მაინც ვერ ააცილა.

დაღონდა, გული მაინც არ გასტეხია. მამისა და გამოცდილ მესიმინდეთა რჩევას გულდაგულ ისმენდა: «მიწას ოღონდ ნუ უღალატებ და ერთი ათად გადაგიხდის სამაგიეროს».

... მზრალს მოვლა და სასუქები არ მოაკლო. დაიწყო თესვა და ხნულში ფეხდაფეხ გაჰყვა ტრაქტორს.

— რას დამდევ გოგო, შენ თუ უკეთ იცი, თვითონ გასჭიმე, — ეუბნეოდა გაჯავრებული ტრაქტორისტი.

— არა, მაგრამ გული არ მისვენებს, ცარიელი მიწა არ დარჩეს, არ გაცდეს.

ცარიელი მიწა ბევრგან დარჩა, მაგრამ გამრჯე ქალიშვილის მარჯვენით როდი მომცდარა. მეჩხერი ადგილები გამოთესვით შეავსო. ნიადაგს არ მოაკლო სასუქები, აღმოცენებულ მცენარეს თოხი და წყალი. «მინდვრის დედოფლის» მომვლელია, განსაკუთრებული ჯაფა მორწყვაზე დაადგა. წყალი ჭირდა, მისთვის ხშირად ღამეების გათენებაც უხდებოდა მინდვრად.

... გავიდნენ დღენი. მზრუნველად მოვლილმა სიმინდებმა ტანი აჰყარეს, მკლავის სიმსხო ტაროები დაისხეს და ნათელას შრომა დაუფასეს — ჰექტარზე 112 ცენტნერი სიმინდი მისცეს მარცვლად.

ყვარლის რაიონში სარეკორდო შეიქმნა ნათელა გიგოლაშვილის მაჩვენებელი. ბევრი გამოცდილი მესიმინდე რჩევისათვის მასთან მიდიოდა. ქალიშვილი მორცხვად ასწავლიდა თავის ყოფილ მასწავლებლებს სიმინდის «ანბანს».

ნათელას კიდევ მეტი სწყურია, ჩვენს ქვეყანაში ცნობილი მესიმინდის ე. დოლინიუკის მაგალითი აღელვებს.

ამას წინათ კვლავ ახალი გადაწყვეტილებით მივიდა კანტორაში და გამგეობას ახალგაზრდული რგოლის შექმნა სთხოვა.

მოუწონეს ქალიშვილს განზრახვა და რგოლის ხელმძღვანელობა დააკისრეს.

წელს ახალგაზრდული რგოლი, რომელსაც ნათელა გიგოლაშვილი გაუძღვება, 15 ჰექტარ სიმინდის ნათესს დაამუშავებს და ჰექტარზე მარცვლად 120 ცენტნერს მიიღებს.

ამ ბიოგრაფიის ღირსშესანიშნავი ფურცელია ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი, რომლის მონაწილე იგი იყო. აქ მოისმინა მან ამხანაგ ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის სიტყვა და თავის კოლმეურნეობაში დაბრუნდა მტკიცე გადაწყვეტილებით: ერთ ჰექტარზე მოიწიოს 170 ცენტნერი სიმინდის მარცვალი.

ნათელა გიგოლაშვილის სასახელო ბიოგრაფია დღეიდან იწყება.

მაყვალა ინასარიძე

ნაზი კილასონია

# თებერვლის მზე



ქალაქი რუსთავი

«თებერვალი დადგაო,
ხეში წყალი ჩადგაო“...
ოჰ, თებერვლის დილაო,
მინდა მაისს გადარო.
მინდა ფრთები აშალო
ნიავქარის აფრანო,
რათა ჩემი მამული
ყვავილებით დაჰფარო.
რომ სინათლის ალმასი
ჰკვეთდეს ზამთრის უკუნეთს,
საქართველო, ლამაზი,
საზეიმოს გუგუნებს.
და მზე, ოქროდ დამდნარი,
რა ზღაპრულად მებევრა,
თებერვალი დამდგარა,
მოგილოცავთ თებერვალს!
დედი!
თავი ასწიე,
დაო!
სივრცეს გახედე,
იქ ფრთას იქნევს არწივი,
რათა მტერი გახევდეს.
ახლა შენი წადილი
გული რაზეც ღელავდა:
დღეს ეგ თალხი მანდილი
ბრწყინავს ათასფერადა.
აგრემც გენაცვალები,
შორს წასულა ღრუბელი,
და ცას გიგავს თვალები—
უწინ ცრემლთა გუბენი.
დღეს აკვანთან ღიღინებ,
დღეს დაზგასთან ინთები,
როგორც ლურჯი ღიღილო,
როგორც თეთრი ფიფქები.
ამაგდარი, ამაყი
დგახარ, კორდებს უცქერი:
ნარინჯების ვარაყი...
ჩაის მწვანე ბუჩქები...
ხარ ბუნების შროშანი,
მკერდზე ნაზად ებნევი.
შენს მარჯვენას ლოცავენ
აბრეშუმის პეპლები.

შენს ქალობას ლოცავენ
საქართველოს ბაღები,
რადგან დედოფალივით
შრომის ლხინში გახვედი,
და ჰქუხს მამულს იქითაც
ეგ ქართული სახელი!..
ეს თებერვლის მზე არი,

ეს თებერვლის დარია,
ლხენას რომ გაზიარა,
ჩემო კარგო დაია.
და მაგ თვალთა ციმციმი
მეც ზღაპრულად მებევრა,
თებერვალი იცინის,
მოგილოცავ თებერვალს!

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და
ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალი
№ 2 თებერვალი 1961 წელი
საბჭოთა ქალი

85476
ეროვნული ბიბლიოთეკა
გამომცემლობის ... სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სოფელო, ჩემო სოფელო!

## მობრძანდი, ნენა!

გურია... გურია... ლამაზი სერებით, სიმწვანით, მთებით.

გურია—ფირალების, აჯანყებულების, ნასაკირალის გმირების.

გურია—ქოხებში ატეხილი ფუსფუსით, კრებებით, გამოსვლებით, მენშევიკების განდევნით, რევოლუციით.

იყო ერთი და არის მეორე—უგზოობა და გზები, უხიდობა და ხიდები, სიბნელე და ელექტრონი, ფაცხები და ოდები, უწიგნობა და წიგნები, უექიმობა და საავადმყოფოები, მოჯამაგირეები და შრომის გმირები.

ცუდი უკუაგდეს, კარგი რაც ჰქონდათ, შეინარჩუნეს. ხალხი ლამაზი იყო. ჯიშიანი. იშვიათად,ახლაც რომ ქალი შეგხვდეთ და არ მოგეწონოთ. სხვანაირი სიარული იციან, მხრის სხვანაირი მობრუნება, თავის სწორი დაჭერა, სხვანაირი ლაპარაკი... გრძნობთ, სასურველი ხართ მისთვის, მაგრამ თვითონაც სასურველი ხდებიან.

მასპინძლობა ყოველთვის უყვარდათ გურულებს, მცირე ჰქონდათ, მასპინძლობდნენ, ბევრი აქვთ და ორივე ხელს შლიან—მობრძანდი, ნენა!

ჭიშკარს თუ მიადექი (ჭიშკარი ყველა ეზოს ახალი აქვს და შეღებილი), „მასპინძელოს" დაძახებას ვერც მოასწრებ, მეორე სართულიდან უკვე ძირს არიან და კარს ფართოდ აღებენ—მობრძანდი, შენი ჭირიმე!

გურია—ლამაზების და მასპინძლების მხარე!

გურია ერთია, რაიონი—სამი, სოფლები კი—ბევრი. მათ შორის არცერთი არ იჩაგრება, ყველა თვალს ახარებს, ყველას კარგი სახელი აქვს. მახარაძელებს ერთი სწყინთ—ნატანებს და შრომას ბევრს აქებენ—ასეთი სოფლებია ისეთი სოფლებია, შეიძლება სოფელს სხვა სახელი ჰქონდეს, მაგრამ მათზე ნაკლები არ იყოს—ბახვი, შემოქმედი, მელექედური, ძიმითიო...

ვერ ვაწყენინე მახარაძელებს, შრომაში მიმავალმა მარშრუტი შევიცვალე, მდინარე სუფსა დავტოვე და ძიმითში შევედი.

გზად ხიდი მომეწონა, კოლმეურნეობის სახსრებით აშენებული (ოთხ მილიონამდე დაუჯდა იგი ძიმითელებს). სუფსა მოთოკილია ხიდქვეშ, აღარ ბოროტობს. მეგზური მიყვება, რამდენი კაცი დაუღრჩვია მდინარეს უგზოობის გამო, რამდენი ნავი გადაბრუნებულა, რამდენი ქორწილი გადადებულა—სიძეს ვერ გაუყვანია პატარძალი ადიდებული ტალღების შიშით. ახლა აქაური ქალიშვილები ვაჟკაცებს ხიდზე რომ გადაჰყავთ, მანქანებს სუფსას ჯინაზე აყვირებენ: მოგვყავს დედალი ხოხობი...

ხიდის ზემოთ სოფელი იწყება, გზატკეცილიდან არ გადაუხვევთ, ისე ჩანს ლამაზი შენობები — სკოლა, კლუბი, კანტორა, საბავშვო ბაღი. გზის პირას ახლად ამოყვანილი კედლებია, დიდი მშენებლობა წამოუწყიათ, ბაგა ექნებათ. ბავშვები ემატება ძიმითს, ძველი შენობა არ ჰყოფნით. ნეტამც, ასე იყოს, ნეტამც, და თუნდ ამ ახალშიც ნუ დაეტევიან, ააშენებენ, ოღონდ იმრავლონ!

სოფლის საბჭოს თავმჯდომარეს ვასილ თავდიშვილს მაცნობენ.

— დღეს შვიდი ბავშვი დაიბადა,—ახალ ამბად ეუბნება ჩემს მეგზურს.

პირველივე ძიმითელმა მასიამოვნა (კარგი მასპინძელი ყოველთვის კარგ ამბავს ახვედრებს სტუმარს). შვიდი ბავშვი ერთ დღეს პატარა სოფელში! ეს ბედნიერი დამთხვევაა.

ესტატე მუხაშავრია წარმოსადეგი კაცია. ის ძიმითელია და 17 წელი კოლმეურნეობას ხელმძღვანელობს. „ახალგაზრდა კომუნისტის" სახელობის კოლმეურნეობა 30 წელია, რაც ჩამოყალიბდა ძიმითში. თავმჯდომარეს თუ არ შეეკითხებით, არაფერს ამბობს საქებარს.

კოლმეურნეობის საშუალო წლიური შემოსავალი 10 მილიონი მანეთია. საკოლმეურნეო ფართობს ათას შვიდასი ჰექტარი უჭირავს. ძირითადი კულტურა ჩაია. წელს ორას ორმოცდაორი ტონით მეტი ჩაი მოიკრიფა. აბრეშუმის პარკის ჩაბარებით სოფელმა შვიდწლიანი გეგმა შეასრულა. კოლმეურნეობის ძროხები ათას ექვსასის ნაცვლად ათას შვიდას ოცდათოთხმეტ კილოგრამ რძეს იძლევიან წლიურად. მოჰყავთ ტუნგო, სიმინდი, ხეხილი, ყურძენი.

კოლმეურნეთა შრომითი ანაზღაურება ყოველთვიურია და ფულადი. კარგი კოლმეურნე ოთხი ათას მანეთამდე იღებს თვეში.

ამიტომაა ძიმითში ასეთი კარგი სახლები. როცა კაცი კარგად ცხოვრობს, პირველ რიგში სახლს იდგამს. სოფელში სახლები ორსართულიანია, ღია აივნით, მოხვეული ქვის კი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით. ყველას უნდა ექვსი ოთახი მაინც ჰქონდეს და ქვემო სართულში სარდაფები მოაწყოს. პატარა ნალია აქა-იქ თუ დარჩენილა. ჭა ზოგან მაინც არ ჩაუქცევიათ, მერე რა, რომ ახლა ეზოებში წყალი აქვთ გამოყვანილი. ოდებს უმეტესად მწვანედ ღებავენ. ეს სხვანაირი მწვანე ფერია, ისეთი, როგორიც სერებია. ამ ფერს ხედავენ გურულები ბავშვობიდან და ეს ფერი უყვართ ბოლომდე...მწვანე მთები, მწვანე მინდვრები, მწვანე კაბიანი გოგოები და ჭიშკრები, მწვანედ შეღებილი.

სადაც მიადგები, სანამ „მასპინძელოს“ დაიძახებ, მეორე სართულიდან თქვენს წინ გაჩნდებიან და დაგასწრებენ: მობრძანდი, ნენა!

მათზე ადრე სახლები ამბობენ—მობრძანდი, შენი ჭირიმე, ეს ორსართულიანი მწვანე სახლები.

## დედაბოძი

ეზოში, აივნის წინ ნალია დგას. ეს ისე, სხვათაშორის დარჩენილა. მის გვერდზე ჭაა, ქვის სკამი, იქვე მაგნოლია და თეთრი ბალი. მაინც ხედავს აივნიდან ელპიტე თავის სოფელს. ელპიტე ძიმითიდან კარგად ხედავს ბახვს. ბახვი მისი სოფელია, ძიმითში კი გაათხოვეს ჩვიდმეტი წლის გოგო. ადრე გაათხოვეს.

ბახვი აივნიდან ღამით ჩანს კარგად, როცა სინათლეები ანთია. ციმციმებს შუქი, ხან თითქოს იმატებს, ხან თითქოს იკლებს... მის თვალებს ეჩვენება ასე. თვალებს სოფლისაკენ ცქერით გაწყალებულს, თორემ სინათლე ერთნაირად ანათებს, ზომიერად, საკმაოდ.

დღისით სოფელი არ ჩანს, ხან ნისლშია, ხან არა, მაგრამ ელპიტემ იცის საით გაიხედოს—პირდაპირ და ოდნავ მარჯვნივ. იქ დარჩა წლები, უსიხარულო, მაგრამ არც თუ ცოტა—ჩვიდმეტი წელი. და დარჩა მძიმე მოგონება: იქ ტიროდა დედას, ტიროდა იმიტომ, რომ სხვები ტიროდნენ. არც მამა ახსოვს. მხოლოდ იცოდა, რომ ჰყავდა უფროსი და-ძმა. იხსენებს, როგორ დარბოდა სადღაც. ქოხში, სადაც დამარცვლით ისწავლა რამდენიმე სიტყვის წაკითხვა, მალე იქაც ველარ ირბინა, ფული აღარ ჰქონდათ მისიანებს.

დაქალიშვილდა და მალე წავიდა ის წლები. ერთხელ კაცებმა შეათვალიერეს, მერე ღამით წამოიყვანეს და ქმარს მიჰგვარეს ძიმითში, უსიყვარულოდ, მოუწონებლად.

ერთი ფაცხა დადგა ცოლ-ქმარმა. ფიცრისგან ერთი ხის ტახტი დასჭედეს, შუაცეცხლზე ქვაბი დაჰკიდეს და მერე...მერე ცეცხლის ალისგან ბავშვსაც აეწვა თვალები...

ბიჭი იზრდებოდა და ძუძუ აღარ ჰყოფნიდა. ძროხა შეიძინეს მშობლებმა, რძე მაინც ექნებაო. მერე ფაცხის გვერდზე აბრეშუმი დაისვა ელპიტემ. ცოტა შემოსავალს ისიც აძლევდა. ასე წამოზარდა ერთი ბიჭი.

თოხს გაიდებდა და ყანაში მიჰყვებოდა ქმარს. ხან გოგელიების, ხან ცქიტიშვილების სიმინდს თოხნიდა. შემოდგომაზე მოსავლის მესამედი ზურგით მოჰქონდა ხარიტონს შინ.

მერე დგებოდა ზამთარი, უბერავდა ქარი ფაცხაში და სამი სული ეფიცხებოდა ცეცხლს.

ის ფაცხა აქ იდგა, ამ ოდის ადგილას, თორმეტი წელი იდგა და მერე, რომ არ დაენგრიათ, ქარი წააქცევდა. ის ფაცხა ორთვალიანმა სახლმა შეცვალა. ერთი წლის შესულები იყვნენ კოლექტივში და წელი მომაგრებული ჰქონდათ. არ კი შემცდარან ცოლ-ქმარი, როცა საკარმიდამო ჩაის პლანტაცია და ორი მოზვერი კოლმეურნეობას გადასცეს.

გავიდა წლები. ორთვალიანი ოდა დაარღვიეს, მესამე სახლი დადგეს ამ მიწაზე მგელაძეებმა. აივნიდან ელპიტე ხედავს გურიის მთებს. ახლა თოვლია მთებზე, სოფელში კი თბილა. აივანზე ანათებს მზე და ელპიტე კაბითაა გარეთ. შავით დადის ელპიტე, მარტო, უქმროდ.

ორღობეში ქალიშვილები მოდიან. ელპიტე ყოველთვის გულდაწყვეტით აყოლებს მათ თვალს.—გამარჯობათ, ელპიტე ბებია,—ესმის და ფიქრობს,—ნეტა, რომელია ჩემი ბიჭის გულისსწორი, ნეტა, რომელია ამათში ჩემი სარძლო. ახსენდება, რომ წერილი აქვს მისაწერი ხერსონში, სადაც სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სწავლობს შვილიშვილი. ბებიამ თავისი ხელით მომწეროსო,—იტყობინება ბიჭი და ისიც სხვას არ უკარნახებს, თვით დასწერს. წერა-კითხვა ამ 30 წლის წინ ისწავლა უცოდინართათვის გახსნილ სკოლაში.

მზე იხრება, აივანს აღარ ანათებს. ელპიტეს სცივა და ნანობს, რომ აღარ არის ახალგაზრდა. აი, მაშინ იმ წლებში, როცა ფაცხა ედგა, რაღაც იყო კარგი, ის, რომ ელპიტე იყო ახალგაზრდა. ახლა, სიბერეში მოვიდა ყველაფერი—6 ტონანახევარი ჩაის ჩაბარება და სოციალისტური შრომის გმირობა, ასი ათასი მანეთი ოჯახში და ძვირფასი ავეჯი. მერე დედამთილს რძალი დაეწია, გოგოლა მგელაძეც სოციალისტური შრომის გმირი გახდა.

წელს რძალმა აჯობა დედამთილს, ხუთ ტონამდე ჩაი მოკრიფა და ელპიტეს ერთი ტონით გადაამეტა. რა ვუყოთ, თუ ახალგაზრდა გმირმა აჯობა ძველს. ელპიტეს, აკი, აივანზე შესცივდა და შინ შევიდა. აღარაა ახალგაზრდა.

ოთახში შედის, დგას გამართული, სამოცი წელი კარგახანია გაათავა. დგას და მოჰგავს დედაბოძს, დროთა სვლისაგან ურყევს.

## ოჯახში მოვა ახალი წევრი

ამ პატარა სოფელს მძიმე წლები ახსოვს, როცა ვაჟკაცები ფრონტზე ჰყავდა გაგზავნილი, როცა ქალების ანაბარა დარჩა. ჩუმად დადიოდნენ ომში წასულების ცოლები სოფელში, ჩაჩუმებულიყვნენ მათი შვილებიც, მხიარული თამაში არ გამოუდიოდათ, თითქოს ბავშვობის წლები წაართვეს.

წერილი ფრონტიდან მოვლენა იყო ძიმითში. სანგარში დაწერილ ქაღალდს ყველა უყურებდა სასოებით. ერთს ეკუთვნოდა ეს წერილი, მაგრამ ასე ეგონათ დავითის, გიორგის, სერგოს ოჯახობებს, მათი ქმარიც ამ სტრიქონებს შუა ლაპარაკობდა.

მეორე დღეს იმედიანად გადიოდნენ ქალები ჩაიში. კაცის მაგიერ ბარავდნენ ბუჩქებს და შეჰქონდათ სასუქი. კაცის მაგიერ უკორძდებოდათ ხელები ქალებს თოხისაგან, ძირს რომ უთხრიდნენ სიმინდს, და ღამით შინ მიჰქონდათ იმედი:

— დამიბრუნდება ჩემი გიორგი, მის მაგიერ გავთოხნე, ამიტომაც უსათუოდ დამიბრუნდება.

და ერთ მაისში დაბრუნდა სოფელში ბევრი,



საშა ქორიძე



ელპიდე მგელაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მაინც არ დაბრუნდა ორას ოცდაათი ვაჟკაცი.

ჭიმითში შავები ჩაიცვეს ქალებმა.

ზურჩქებთან იმატა შავოსანთა რიცხვმა. სიცილი სასწაული იყო მინდვრად. მაისი კი იდგა.

საშა ქურიძეს არ ჩაუცვამს შავი, სიკვდილი არ გაუგია ქმრის. ჩვენი მამა დაბრუნდებაო,— ასე ეუბნებოდა ყოველდღე შვილს. ამ იმედით მიდიოდა დილას და ბრუნდებოდა საღამოს, მიჰყავდა ბიჭი დილას ბაღში და მოჰყავდა საღამოს.

ბავშვს ვერ წარმოედგინა, როგორი იქნებოდა მესამე ადამიანი მათ ოჯახში. ერთი წლის დარჩა მამას და დედის გარდა თუ კიდევ სხვას შეეჩვეოდა, არ ეგონა.

დედა ვერ ურიგდებოდა ფიქრს, რომ იცხოვრებდნენ სულ ასე, მხოლოდ ორნი. რომ მათ ჭერქვეშ არ გაიცინებდა მამაკაცი—ისე, როგორც იცოდა—მთელი ხმით, ომახიანად.

ჩაიში მიდიოდა იმ ფიქრით, რომ შვილი მიეჩვეოდა მამას, როცა ეს კაცი. დაბრუნდებოდა და იტყოდა: დაგიბრუნდით.

ამ ფიქრს ატკრებდა მაისიდან მაისამდე, ივსებოდა კალათა დუყებით, ოთხ, ხუთ, ექვს ტონამდე ადიოდა წლის ბოლომდე მოკრეფილი ჩაის ფოთოლი.

იზრდებოდა ბავშვი. მან სკოლაში სიარული ისწავლა და უდედოდ გარბოდა დილაზე სახლიდან. კითხვაც ისწავლა, მაგრამ თუ რატომ დასჭირდათ ადამიანებს, რომ ის დარჩენილიყო მამის ობლად, ვერ გაიგო.

მერე აუხსნა მასწავლებელმა, თუ რა იწვევდა ომებს და რისთვის სჭიროდათ იგი ბოროტებს. მერე მეტად ეცოდებოდა დედა და ცდილობდა დაევიწყებინა მამის არყოფნა სახლში.

ობლის დედა მაინც ელოდა მას და ასე მოვიდა ორმოცდარვა წელი.

საშა ქურიძემ ექვსნახევარი ტონა ჩაი მოკრიფა ამ წელს. შინმოუსვლელი ვაჟკაცის ცოლს სოციალისტური შრომის გმირობა მოუვიდა სამაგიეროდ. ორმა, მხოლოდ დედა-შვილმა გაიხარა მათ ოჯახში, .იმ.ოში კი ყველა ოჯახს უხაროდა ეს ამბავ

წლებმა თავისი ჰქნეს. ვაჟი დავაჟკაცდა და ძველი სახლი ე.პატარავა. დედა-შვილმა თავიანთი შრომით ახალი ოდა დაიდგეს— უფრო დიდი და ფართო.

და დაიწყო ობლის დედამ ფიქრი გამრავლებაზე. შვილსაც ატყობდა, გოგო რომ უყვარდა ერთი. მწონავად მუშაობდა ვაჟი, გოგო —მეჩაიე იყო, სხვებისგან მალავდნენ სიყვარულს, დედამ მაინც გაუგო.

რგოლში ცხრამეტიდან რვა ქალი იყო უქმრო, ომიდან მოუსვლელის ცოლი. შავები გაიხადეს ქალებმა, ობლებს არ დაატყვეს ობლობა, დააოჯახეს შვილები.

საშა ქურიძეს ერთი ვაჟი ჰყავს და იმ ვაჟსაც გოგო უყვარს ერთი. დადგა სიხარულის დღეები საშასთვის, რძალი მოიყვანა სახლში. თითქოს ძველი დღეები დაბრუნდა, მისი ბედნიერების დღეები.

ზებიობას ელის ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალი, მამა გახდება მისი შვილი. გაჩნდება შინ მოუსვლელის მაგიერი და ერთ დროს ისიც გაიცინებს მთელი ხმით, ომახიანად.

## დედა ნახე, მამა ნახე...

აქამდე ერთად დადიოდნენ დედა და შვილი, დედა—მერგოლური, შვილი—რგოლის წევრი. აქამდე ყოველ დილას ეზოდან ერთად გამოდიოდნენ დედა—სოციალისტური შრომის გმირი, შვილი—ახალსკოლადამთავრებული. დადიოდნენ ჩაიში თამარ ტულუში და მისი ქალიშვილი მერი. დედა, რა თქმა უნდა, ახალგაზრდა არ იყო, რომ სილამაზე ეთქვათ მისი, შვილზე კი, შეხედავდნენ და თავისთვის იფიქრებდნენ—ლამაზია, ნეტა რად არ თხოვდებაო. საღამოსაც ერთად ბრუნდებოდნენ შინ ოჯახის დიასახლისი და ქალიშვილი. ასე იყო ორი წელი, მერე კი გაიყვნენ.

— თქვენთან აღარ მინდა, ჩემი ტოლები ბევრი არიან კოლმეურნეობაში. კომკავშირულ რგოლს ვაყალიბებთო—განაცხადა შვილმა.

დედამ სადღაც იგრძნო, რომ მისი დრო წავიდა, რომ შვილი მის მეურვეობას აღარ საჭიროებს, განზე იხედება, დამოუკიდებლობას ჩემობს. რამდენადაც ეწყინა, იმდენად გაეხარდა, შვილი მომესწროო.

ახალგაზრდებისგან კოლმეურნეობაში სამი კომკავშირული რგოლი შეიქმნა. ერთერთის მერგოლურად მერი ტულუში აირჩიეს.

დილას წევრები სამუშაოდ რომ გაჰყავდა, იმას ფიქრობდა მერი, ნაკვეთს კარგად მიხედონ, არ გაცდნენ, ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფონ. ამ ფიქრებში დამთავრდა ჩაის კრეფის სეზონი და მარტო მერიმ წელს ოთხ ტონანახევარი ფოთოლი ჩააბარა.

დედამ ეს ამბავი რომ გაიგო, სიცილით თქვა, ნახევარი ტონით მაჯობაო.

ათას ცხრაას ორმოცდა რვა წელში თამარ ტულუშმა რვა ტონანახევარი ჩაის ფითლის მოკრეფისათვის მიიღო გმირობა.

ეს იმას არ ნიშნავდა, რომ გმირს ვერავინ აჯობებდა. მას შემდეგ, რაც პირველი გმირები გაჩნდნენ, ახალგაზრდობა დაიზარდა. ელპიტე მგელაძეს და საშა ქურიძეს კვალში ისინი მიჰყვებიან, მათი შვილების და შვილიშვილების ტოლნი: ვენერა თავდიშვილი, ნუნუ პატეიშვილი, დოდო სალუქვაძე.

თამარ ტულუშს საკუთარ ოჯახში გაეზარდა „მეტოქე“, მას გაჰყვა, მისგან ისწავლა და შეეჯიბრა. ახლა მერი ტულუშზე ლაპარაკობენ, ახლა მისი რგოლის წევრები ჰყავთ სათვალავში—ოთხმოც კილოგრამამდე რომ ჰკრეფენ დღეში. მერე მარტო შრომას არ უქებენ, მოლხენაც მოსწონთ მათი. სიმღერისა და ცეკვის გუნდში, დრამწრეში, სასულე ორკესტრში სულ ახალგაზრდობაა.

დედა ფიქრობს, რომ ყოველთვის მეჩაიე არ იქნება ქალიშვილი, უმაღლესში დაუსწრებლად ისწავლის, აგრონომი გახდება. მომდევნო შვილებიდან ერთი მერვე კლასშია, მეორე გაისად წავა სკოლაში. სამი ქალიშვილის დედობა არაა ადვილი, მითუმეტეს, როცა დაქალდებიან და გათხოვების დრო მოვა. მაშინ კარგები უნდა იყვნენ, რომ მოეწონოთ.

მერიზე ბევრს ადგია თვალი სოფელში.

უმცროსები ჯერ პატარები არიან.

დედას იმედი აქვს, დის კვალს გაჰყვებიან, კარგები დაიზრდებიან.

ასეთებზე იტყვიან ხოლმე: დედა ნახე, მამა ნახე...

**ლია კაკაბაძე**

ფოტო ა. აბულაძის



მერი ტულუში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თამარი

მოთხრობა

ყინავს. დილის ხუთი საათია. გათენება ჯერ შორს არის, მაგრამ თამარი სამუშაოდ მიიჩქარის. ბაკ-ბუკ, ბაკ-ბუკ—მკაფიოდ ისმის უკაცრიელ, ჩაბნელებულ ქუჩაში. ცხვირი ისე ეწვის, თითქოს ცხარე ძმარი დაეყნოსოს და წამდაუწუმ ხელისგულით იზილავს. გათენებამდე კიდევ ოთხი საათია, მაგრამ...

თამარი სამუშაოზე მიიჩქარის. რა ქნას, ასეთი სამუშაო აქვს. სხვები უფრო გვიან მიდიან: ზოგი რვაზე, ზოგი ცხრაზე, ზოგი ათზეც. თამარი კი უთენია უნდა ადგეს, ნანულის ჩანთაში მანეთი ჩაუდოს, ისაუზმოს და სამსახურისკენ გასწიოს. ამ დროს ნანულის ძინავს ბავშვური, უდარდელი ძილით. შავი კულულები თეთრ სასთუმალზე ხოჭოებივით ბრწყინავენ. შვიდ საათზე თავს წამოყოფს, თვალებს აახამხამებს და სასთუმალიდან აყოლილ სიტყვას წამოისვრის:

— დედა წავიდა?

— რა ხანია წავიდა, შვილო. ნანულის სახე მოეღრიცება და თავს ჩაჰკიდებს.

— შენც ადექი, შვილო, პირი დაიბანე, გაკვეთილები გაიმეორე!—ეუბნება მამა და აწითლებულ ქურაზე მდგარ მოთუხთუხე ჩაიდანში ჩაის ყრის.

როცა თამარი მეორე ცვლაში გადის, მაშინ დილის სხივს სამივე ერთად ხვდება, მაშინ ოჯახს მეტი სიმხიარულე ეტყობა: თვალს გაახელს თუ არა ნანული, დედის ლოგინში გადადის. დიდი გოგოა ნანული, ძალიან დიდი, უკვე მეორე კლასშია და მაინც დედასთან ჩაგორება უყვარს.

... ყინავს. ქვაფენილი მინაგადაკრულსა ჰგავს. ბაკ-ბუკ, ბაკ-ბუკ! რა ქნას თამარმა, ასეთი სამსახური აქვს. მან რომ დაიგვიანოს, ვერცერთი ქარხანა დროზე ვერ ამუშავდება: ვერც ინჟინერი მივა სამსახურში, ვერც ექიმი, ვერც მასწავლებელი. ამიტომ ყველაზე ადრე მიდის; ყველა უნდა დროზე მიიყვანოს: ქარხანაში, საავადმყოფოში, სკოლაში, მერე ისევ უკან წამოიყვანოს, მეორე დღეს ისევ წაიყვანოს, ისევ და ისევ, და მიდის დრო...

მაღალი, განათებული შენობის შესასვლელმა შთანთქა თამარი. მეორე სართულზე კარებს დიდი შავი ასოებით აწერია: «მოსაცდელი დარბაზი». დარბაზი მაღალია და ფართო. ადამიანები ჯგუფ-ჯგუფად დგანან და ლაპარაკობენ. კარები ხშირად იღება. ჯგუფები იზრდებიან ან პატარავდებიან. დარბაზი კვამლის ღრუბლებითაა დაბურული.

— სულაბერიძე!—ყვირის პატარა სარკმელში თავგამოყოფილი მთავარი დისპეჩერი.—ოთხმოცდამეთორმეტე, მეშვიდე მარშრუტი, კონდუქტორები სარჩენკო და ფაცურია, ხუთსა და ოცდათხუთმეტზე გამოვა პარკიდან.

ფაცურია ჯგუფს გამოეყო, თამარისკენ წამოვიდა. სარჩენკო არა ჩანს.

— სარჩენკო!.. სარჩენკო!.. კლავდია!..

— აქა ვარ, აქ!—ბაჯბაჯით უახლოვდება კლავდია კონდუქტორი. რაც ტანსაცმელი ჰქონია, მგონი ყველაფერი ჩაუცვამს, საბანში გახვეულსა ჰგავს და ნაბიჯის გადადგმა უჭირს, მისი შემყურე თამარი სიცილს ძლივს იკავებს.

ხუთსა და ოცდათხუთმეტზე ოთხმოცდამეთორმეტე, მეშვიდე მარშრუტი ღმუილით გამოდის პარკიდან. ჯერ სძინავს ქალაქს. მგზავრები კანტიკუნტად აქა-იქ თუ დახვდებათ. შვიდ საათზე კი იცის მომრავლდებიან, ტევა აღარ იქნება. ჯერ ძინავს ქალაქს. ალისფერი ვაგონები ხან ქალაქის თავში გაჩერდებიან ხან ბოლოში. ტრამვაი ნელნელა მძიმდება. «ალბათ, უკვე შვიდია. ახლა გიორგიც გამოვა სახლიდან და ქარხნისკენ გასწევს,»—ფიქრობს თამარი.

— ამხანაგებო, წინ წაიწიეთ, შეიძინეთ ბილეთები!—ყვირის კლავდია კონდუქტორი. როგორ აყვირებენ ამ ქალს. ზოგი მაინც რა თავხედია! ამოვა, ხელებს ჯიბეებში ჩაიწყობს და უკანა ბაქანს არ სცილდება, თითქოს ჭიგოდ ჩაასვესო. ბილეთების შეძენაზე ხომ სულ არა ფიქრობს, ან ჭერს მიშტერებია, ან უსტვენს. ო... ზოგი მაინც რა თავხედია...

— ბოდიში, გადაეცით ორი ბილეთი!

— მიიღეთ!

— გმადლობთ...

— ამხანაგებო, წინ წაიწიეთ! შეიძინეთ ბილეთები!—ყვირის კლავდია კონდუქტორი.

მგზავრებში ჩანთიანი ბავშვებიც ჩანან. «ნანულიც წავიდოდა სკოლაში. აბეზარები არიან ეს სკოლის მოწაფეები. ბილეთს ხომ ნახევარი არ იღებს, ახლა ყაყანითაც იკლებენ აქაურობას. მეტიჩრები“...

— ბოდიში, გამატარეთ!

— ნელა, მეგობარო, ფეხი მომტეხეთ.

— ამხანაგებო, წინ წაიწიეთ!

— დეიდა, სკოლასთან გაგვიჩერე რა!..

«ო, ახლა ეგღა მაკლია, გუშინდელ ბავშვებსაც ტრამვაი გავუჩერო, ჩამოვიდნენ და ფეხით მივიდნენ სკოლამდე!» ბრაზდება თამარი.

— დეიდა, გაგვიჩერე რა, თორემ ბიჭები გუნდებს გვესვრიან!

«რაო? გუნდებსო?» ვაგონები გაჩერდნენ და ბიჭები ჟივილ-ხივილით ჩავიდნენ.

— თამარ, არ წახვიდე!..—ეუბნება კლავდია და გაზეთისათვის ჯიხურისაკენ გარბის.

— მეც მიყიდეთ ერთი გაზეთი!—აბარებს ვიღაც მგზავრი.

— მეც!..

— მეც... თუ შეიძლება!

კლავდია მანეთის გაზეთებს ყიდულობს, ერთს მძღოლს აწვდის, მეორეს თვითონ იტოვებს, დანარჩენებს მგზავრებს ურიგებს და ოცოც კაპიკს ართმევს.

— ამით არის ტროლეიბუსი კარგი, იქ გაზეთს ჰყიდიან!—თქვა გამხდარმა წოწოლა კაცმა.

— ყიდიან, მაგრამ მარტო საღამოსას.

— საღამოსია თუ დილის, კი ყიდიან და ეს ძალიან კარგია!—ბრაზდება წოწოლა.

— ტრამვაიშიც რომ გაყიდონ, კარგი იქნება.

— დიახ, დიახ.—სიხარულით ეთანხმება წოწოლა ჩასუქებულ მანდილოსანს. მერე მომარჯვებულ გაზეთებში ცხვირები ჩარგეს.

მძღოლმა თვალი გადაავლო გაზეთს და ამოიკითხა: «იალაღებზე». უფრო ქვემოთ კი წვრილი ასოებით: „მოთხრობა.“ „მეცხვარეზე დაუწერიათ, არა და ტრამვაის მძღოლებზე დასწერდნენ! აი, რა ვუთხრა მწერლებს, სხვაზე ნაკლებს არაფერს ვაკეთებთ და... დაუნახავები“...

ხანდახან გიორგიც აუხირდება ხოლმე:

— რა არის შენი სამუშაო, მთელი დღე ზიხარ და დასეირნობ.

— არა, მაშ მარტო შენი ქლიბის ხახუნია ყველაფერი.

— ზეინკლობა შენი დასაწუნი რომ იყოს, გაზეთში კი არ გამწერდნენ.—გვერდულა ღიმილით ეუბნება გიორგი და უარესად ტკენს გულს აწიწმატებულ თამარს. „ერთი მოვიდეს. საჭესთან ვინა სთხოვს,—კაბინის ფანჯარასთან გაჩერდეს ცოტახანს და ნახოს“...

— შვილო, ერთი ამ სახლთან გამიჩერე, აგრემც ღმერთი გაგახარებს!

— გაჩერებაზე ვერ ჩახვალ?—თავმოუბრუნებლად კითხულობს გამწყრალი თამარი.

— სანამ იქიდან სახლში მივალ, ხუთჯერ წავიქცევი, შვილო.

ტრამვაი ჩერდება, მგზავრები ყაყანებენ:

— რა არის, ბოლოს და ბოლოს. რამდენი ნაცნობიც შეხვდება, იმდენჯერ უნდა გააჩეროს?—ყვირის ღაბაბჩამოკიდებული კაცი და საათზე იყურება.

— საკუთარი ხომ არ ჰგონია ეს ტრამვაი!—ახლა ნეილონის ქურქში გახვეულმა ქალმა წამოისროლა და სხვებიც აიყოლია. თამარი ხმას არ იღებს. ამ დროს უნდა გაჩუმდე, თორემ უარეს ნერვიულობას გამოიწვევ მგზავრებში. გაჩერებაზე კი ამბროსი დისპეჩერი ყვირილით უახლოვდება:

— ოთხმოცდამეთორმეტე, ოცი წუთით ხარ ჩამორჩენილი გრაფიკს.—კარებში გაჩხირული მილიციონერი გზას უთმობს დისპეჩერს.

— დაგაგვიანდება, აბა, რა იქნება, ყველას რომ ეკურკურები!—ყვირის ამბროსი, მილიციონერს გადახედავს და თვალს ჩაუკრავს.

— გაგიხმეს ენის წვერი!—პასუხობს თამარი. მაგრამ მაინც ეღიმება: „დაბერდა კაცი და ისევ სულელია“. წითელი ვაგონები ადგილს სწყდებიან და ფრთებს ისხამენ. წინ აღმართია. ეს აღმართი დიდი სიჩქარით უნდა აილოს,

თი ემ ბორბლებმა ერთი თავისუფალი ბრუნი თუ გააკეთეს, მერე მოგჭამა ჭირი, ერთი ნაბიჯითაც ვერ წაიწევ წინ. ბორბლები ლიანდაგებზე მოყრილ ქვიშას ახრაჭუნებენ და ტრამვაი ღმუილით ჯაბნის აღმართს. ოცი წუთით დაგვიანება! უნდა იჩქაროს. გარბიან ალისფერი ვაგონები, გარბის დროც—შეუნელებელი, სასტიკი და ყოვლისშემძლე. მოვა, დაგხედავს, დაგემშვიდობება და წარსულს ჩაბარდება. სამაგიეროდ, მოდის ახალი დრო, მოაქვს ახალი ცხოვრება, ახალი ტრამვაი, მოჰყავს ახალი ვატმანი, ახალი ზეინკალი, არა, დროს არ უნდა ჩამორჩე, თორემ სიბერე ისე მოგეპარება, ნახევარ სიცოცხლესაც ვერ მოასწრებ. გარბის ტრამვაი, გარბიან აკაციები, ჭადრები, ხეივნები, შენობები, უცებ ქალის შემაზრზენი კივილი, გამვლელების შეშლილი სახეები... ბორბლები ლიანდაგებს ებღაუჭება... ვაგონებს ქვეშ, ლიანდაგებს სულისშემხუთველი ბული ასდის და ჰაერში დამწვრის სუნი ტრიალებს. მგზავრები ერთმანეთს აწყდებიან. თამარმა მხოლოდ ლანდი დაინახა პატარა ლანდი, რომელიც ლიანდაგებზე წაიქცა, მეტი აღარაფერი იცის. თვალები დახუჭა, სიჩქარე გამორთო, მუხრუჭს ჩააფრინდა, მთელი დაძაბვით მუშაობს ხელით, ფეხით, თავით, ტანით. ლანდი... ლანდი...



— ყოჩაღ, ქალო!..

— მარჯვენა დაგელოცოს, ქალო, მარჯვენა!—ყრუდ ესმის გამვლელების ხმა.

— შე საძაგელო, ვერ დაიცდი, სანამ ტრამვაი გაივლის?!—უთხრა ვიღაც გამვლელმა მამაკაცმა ჩანთაგადაკიდებულ ბიჭს და ხელი მოუქნია, მაგრამ ბიჭმა აიცდინა და გვერდზე გახტა. წინ ფურნედან გამოვარდნილი მეპურე დახვდა და ახლა იმანაც დაუტატანა.

დაიძრა წითელი ვაგონები. მგზავრებს სიმშვიდე დაუბრუნდათ. თამარს ფერი ჯერ არ დაბრუნებია. რატომღაც ნანული გაახსენდა... გაახსენდა და შეაცივა, ააკანკალა, მერე გიორგი დაუდგა თვალწინ, ოდნავ გვერდულად იღიმებოდა, აი ისე, როგორც თამარის გაბრაზების დროს იცის.

„ზეინკლობა შენი დასაწუნი რომ იყოს, გაზეთში კი არ გამწერდნენ“. „მოვიდეს, ერთი მოვიდეს. საჭესთან ვინა სთხოვს. კაბინის ფანჯარასთან გაჩერდეს ცოტახანს და ნახოს“...

იცვლებიან შენობები, ხეივნები, მოედნები და ტრამვაი ხან ქალაქის თავშია, ხან ბოლოში.

— ამხანაგებო, წინ წაიწიეთ, შეიძინეთ ბილეთები!—ისმის კლავდია კონდუქტორის უკვე ჩახლეჩილი ხმა. პარკთან მთავარი დისპეჩერი უყვირის:

— ოთხმოცდამეთორმეტე ტრაპაიძეს გადააბარე!

„დასწყევლოს, რამდენი დრო გასულა“.—ფიქრობს თამარი და გასაღებ სახელურს ტრაპაიძეს აწვდის. ტრაპაიძე ბაქანს სინჯავს, მუხრუჭებს ატრიალებს, მეორე ცვლის კონდუქტორებს სთხოვს ზარი ჩამოჰკრან. ვაგონში წკრიალი ისმის.

— კარგია! — ჩაილაპარაკა და დასძრა ტრამვაი.

მთავარი დისპეჩერი მიუახლოვდა თამარს და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ყოჩაღ სულაბერიძე! შენთვის არც ყინვა არსებობს, არც სველი ლიანდაგები, მისხალივით ზიხარ გრაფიკში.—თამარი უხერხულად შეიშმუშნა და თავი დახარა.

— სულაბერიძე! სულაბერიძე!—ყვირილით უახლოვდებოდა კლუბის გამგე, ხელში ქაღალდები უჭირავს, გვერდში ყელაწეული ამბროსი დისპეჩერი მოსდევს.

— არ შეიძლება, ამხანაგო, სიით არის განაწილებული და რაც გერგო, ის მოგეცი. შემდეგ თამარს მიუბრუნდა:—აჰა! გუშინ ვერა გნახე, მოსაწვევი ბარათებია, საღამოს კლუბში კონცერტი გვაქვს.—ორი ცალი მოსაწვევი მიაჩეჩა, სიაში სულაბერიძის გვარი წაშალა და წავიდა.

შინ მიიჩქარის თამარი. ბაზარში შევლაც უნდა მოასწროს, თორემ... „თორემ ის კაცი დაღლილი მოდის და წვნიანის მეტს ხომ ვერაფერს გაუკარებ ახლოს“...

მიიჩქარის თამარი და ხალხმრავალ ქუჩაში აღარც მისი ფეხის ბაკუნი ისმის და აღარც ყინავს...

**რომან აშილახაძე**

# თვალმახარა ყვავილები







თბილისის 106-ე საბავშვო ბაღში ვართ. გრძელ დერეფნებში, ფართო, ნათელ ოთახებში ქათქათა ფარდებიან ფანჯრის რაფებსა და მარმარილოს განიერ კიბეებზე აფუთქებულან თვალმახარა ყვავილები, ტანაყრილი თუ თავქოჩორა მცენარეები. ირგვლივ სითბო და სისუფთავეა.

ორსართულიანი კოხტა შენობის პირველ სართულს ორი უმცროსი ჯგუფი დაჰპატრონებია—ქართული და რუსული. ეს ქალი დეიდა მარგოა, პატარების დიდი მოამაგე და აღმზრდელი. აგერ, ოცდაორი წელი გაატარა მოზარდი თაობის სამსახურში, ახალგაზრდული გატაცება და ენერგია კი არასდროს დაუკლია საქმისათვის მარგო მამულაშვილს. ახლაც მხიარულად ჩამდგარა ბავშვებში და მათთან ერთად ამბობს ლექსებს. ო, როგორ გაუბრწყინდა თვალები, როცა მარინა სუკაჩოვამ წმინდა ქართული კილოთი ჩაარაკრაკა: „შენ სულ სხვაგვარი ეშხი გაქვს...“ შავგვრემანი, კორჩიოტა გოგოა მარინა. ძალიან მოსწონს ქართული ენა. დიდი ხანი არ არის, რაც მის შესწავლას შეუდგა. და აი, ახლა გამართულად გამოთქვამს ყველა ბგერას. მის ტიტინს რა მოგაწყენთ, მაგრამ გელა ხეჩუაშვილსაც მოუსმინეთ! იგი ისეთი ოსტატობით კითხულობს ილია სიხარულიძის ლექსს „ხერხი“, რომ სულგანაბული ბავშვები ერთი წუთითაც არ აცილებენ მას ანთებულ თვალებს. ერთმა თმაქოჩორა ბიჭუნამ გელასთან უფრო ახლოს ჯდომაც კი მოიწადინა და პატარა სკამი ხმაურით გააჩოჩა მისკენ. მაგრამ, ვაი, სირცხვილო, დეიდა მარგოს შენიშვნა დაიმსახურა:

— სკამის გაცურება არ შეიძლება,—წყნარად ამბობს აღმზრდელი,—ორივე ხელით უნდა აიღო და ისე გადადგა.

მეორე სართულზე საქმეში გართული გვხვდებიან უფროსი ჯგუფელები. თეთრთავსაფრიანი, მორიგის სამკლავით ხელზე, მარინა ერისთავი ფიცხლად მიმოდის პატარა მაგიდებთან თავდახრილ ბავშვებს შორის და კარავის გაკეთებისათვის საჭირო ნივთებითა და ხელსაწყოებით ამარაგებს მათ. ჩუმად მუშაობენ ბავშვები. აი, გურამ იოსელიანმა ერთხელ კიდევ შეათვალიერა თავისი ნახელავი და შემოგვცინა.

— ვინ ცხოვრობს კარავში?—კითხულობს აღმზრდელი მარიამ შენგელია.

— პიონერები!—არის ერთსულოვანი პასუხი.

— კარავი სად არის გაშლილი?

— ტყის პირას, მინდორზე...

... და ბავშვები ახლა ამ სიუჟეტის გამოკვეთას ცდილობენ ნაირფერი ქაღალდების, მაკრატლის, წებოსა და ფუნჯის დახმარებით.

რუსულ ჯგუფში შერჩევითი თამაშია. მარინა სალირაშვილს, ლიოვა მელიქოვს და პაატა ხერხეულიძეს ფუნჯი და საღებავი ყოველგვარ გასართობს ურჩევნიათ. ორი ფერის საღებავით მშვენიერი დეკორაციული სახეები გამოუხატავთ მრგვალ ქაღალდზე. გაოცებთ, თუ როგორ ახერხებენ ეს პატარები ფერების ასეთ შეხამებას. ახლა, აბა, გვერდით მაგიდას გადახედეთ! ფერადი მძივების აცმა, ზომისა და ფერის შერჩევა დაკვირვებულს, მომთმენსა და გემოვნებიანს ხდის ბავშვებს.

ერთხელ კიდევ ვნახოთ უმცროსჯგუფელები. რას აკეთებენ? ოჰო!.. ჩანს აქ მხოლოდ ერთსა და ორს როდი უყვარს ხატვა. ხატავენ თავიანთი ფანტაზიით, ვისაც რა მოსწონს, ვინც რაზე ფიქრობს. გოგონების უმრავლესობა გულწითელი ყვავილებით ჩითავს მწვანედ აფერადებულ მინდვრებსა და ფერდობებს. ბიჭები კი... რას არ მისწვდომია მათი ფანტაზია...

— ვახტანგ, აბა, აუხსენი დეიდას რა დახატე!—ეუბნება აღმზრდელი ეშმაკ ბიჭუნას და ვახტანგ უზულაშვილიც უმალ გადაგვიშლის თავის მდიდარ ფანტაზიას:

— ეს ჩემი ქუჩაა, ეს ჩვენი სახლი, კარზე სტუმარი აკაკუნებს. წინ ხე დგას. ახლა შემოდგომაა და ფოთლები ცვივა. ცაში ჩვენი რაკეტა მიფრინავს...

— მე ჩვენი სოფელი დავხატე,—მორცხვად გააწყვეტინა ვახტანგს მეორემ.—იმ გორაკიდან ერთხელ მამას მანქანა დაუგორდა, მე ისე დავხატე, რომ აღარ დაგორდება.

მხიარულად წამოიშალნენ ბავშვები. ახლა ცოტა ხანს ეზოში, სუფთა ჰაერზე გაირბენენ, გაინავარდებენ და სადილის დროც მოვა.

მეორეჯგუფელები კი უკვე მადიანად შეექცევიან დეიდა შურას დამზადებულ გემრიელ სადილს. ღორმუცელა რაჩიკ შარაფიანს უკვე მოუსუფთავებია თეფში და მანდარინის მოლოდინშია.

საბავშვო ბაღის გამგე ნინო ენაგელთან ერთად ვათვალიერებთ პატარების საზეიმო და მასობრივ თამაშობათა დარბაზს, დერეფანში ჩამწკრივებულ პატარა კარადებს, სადაც ბავშვებს პალტოები და ქუდები შეუნახავთ. ყველა კარადაზე სხვადასხვანაირი ყვავილი, მცენარე თუ ცხოველია გამოხატული. ბავშვებმა ჯერ კითხვა არ იციან და ამ ნიშნებით ადვილად აგნებენ თავიანთ ტანსაცმელს.

... არ ვიცით, მართლა ყველაფერი ასე კარგია აქ, მართლა ასეთი გონივრული სათამაშო და გასართობია, თუ გვეჩვენება. მაგრამ ამდენი წერილი, ამდენი მადლობა, ამდენი სიყვარული!.. ესენი ხომ იმ ადამიანებისგან არის, ვისაც კარგი შვილის აღზრდაში დახმარებია ეს პატარა კოლექტივი, ვისთვისაც შრომა გაუადვილებია და საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმის საშუალება მიუცია.

მზია კობერიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კომისრის ქალიშვილი

ეს იყო ჩვეულებრივი მივლინება. გასამგზავრებლად რომ ემზადებოდა, ელენე ჯაფარიძემ გადაწყვიტა, არა უგვიანეს პირველი რიცხვისა უკან, მოსკოვში დაბრუნებულიყო. უნდა გამართულიყო მეტალურგიული ქარხნების საღუმელე მეურნეობის ინჟინერთა თათბირი. ამ თათბირის გამო ბევრს ფიქრობდა ელენე, არამარტო იმიტომ, რომ შავი მეტალურგიის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე კალდებულია იყოს ყველა ასეთი საქმის კურსში. საქმე იმაშია, რომ ელენე ჯაფარიძე უკვე მეოთხედ საუკუნეზე მეტია მთელ თავის ცოდნასა და ენერგიას ახმარს ენერგეტიკას, რომელიც მეტალურგიის სამსახურშია. ჰოდა, ამ თათბირს იგი რატომღაც შიშნარევი სიხარულის გრძნობით მოელის, მისი აზრით ეს იქნება წარსულთან შეხვედრაც და რაღაც კიდევ უფრო დიდი, ახალი, მომავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი.

... ზის მატარებელში ელენე და ბორბლების რიტმულ ხმაურს აყოლებს ფიქრებს, არ ეძინება, ალბათ, იმიტომაც, რომ თანდათან მაგნიტოგორსკს უახლოვდება.

მაგნიტოგორსკი! დაუვიწყარი ქალაქი, დაუვიწყარი წლები! მოგონებებში ცოცხლდება კარვების ზღვა, ათასობით ნიჩბები, დაძარღვული ხელები, დაფშვნილი მიწის ზვინებს რომ აყენებენ, აგურს აგურზე რომ აწყობენ, კედელი კედელზე რომ ამოჰყავთ, გასაოცარი ენთუზიაზმი პირველი საბჭოთა მეტალურგიული გიგანტის ახალგაზრდა მშენებლებისა. მათ რიგებში ხედავს ელენე თავისთავს. ის აქ მოვიდა არა რომანტიკის სიყვარულით,— საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებიდანვე კომკავშირელი, ლენინური სკოლის მგზნებარე რევოლუციონერის ალიოშა ჯაფარიძის ქალიშვილი ვერ დარჩებოდა ამ გრანდიოზული მშენებლობის გარეშე.

შეუძლებელია დავიწყებოდა ღელვითა და უჩვეულო დაძაბულობით აღსავსე დღეები, როცა მიმდინარეობდა წყალსაცავის კაშხალის დაბეტონება, ტურბინებსა და ქვაბებს ქვეშ ფუნდამენტის დაგება, ელექტროსადგურის ფარების დამონტაჟება, კაბელების გაყვანა. ვინ იცის, რამდენი ღამე გაუტეხიათ სამუშაო მოედანზე დაუღალავ კომკავშირელებს; კარავში მისვლას რომ ვერ ასწრებდა ახალგაზრდა ინჟინერი ელენე ჯაფარიძე საამქროში ათევდა ღამეს, პირდაპირ ყუთებზე წვებოდა, ხშირად ძილი სულ აეწყდებოდა. სურდა ყველაფერი მოესწრო, სხვებს ასწავლიდა და თვითონაც სწავლობდა. ეს ხომ მისი პირველი მშენებლობა იყო.

იმ დღეების სახსოვრად შერჩა ერთი ფოტო. სურათზე სამი ახალგაზრდის სერიოზული სახეა აღბეჭდილი. ეს ერთ-ერთი უბნის ხელმძღვანელობაა: უბნის უფროსი ელენე ჯაფარიძე, ჭორფლიანი სახით და კეპიდან გადმოცვენილი რბილი თმის კულულებით, პარტორგი სლეპნევი და პროფორგი შუშარინი. ეს ახალგაზრდები სერიოზულნი იყვნენ ჰრამარტო ფოტოაპარატის ობიექტივის წინაშე. მაგნიტოგორსკში უამრავი ახალგაზრდა მუშაობდა, მშენებლობის ბედი ბევრად იყო მათზე დამოკიდებული. ამიტომ კომკავშირს დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა...

საქმეების გაუთავებელ ნიაღვარში ელენე ერთი წუთითაც არ ივიწყებდა მამას. როცა გაუჭირდებოდა, თავს იმხნევებდა: «მამას ხომ უფრო უჭირდა?» მართლაც, რა სიმტკიცე და ნებისყოფაა საჭირო ხანგრძლივი წლების მანძილზე გაუძლო დაპატიმრების საფრთხის მოლოდინს, ციხეებში ჯდომას, გადასახლებაში ტაიგის ერთი სოფლიდან მეორე სოფელში წოწიალს, აიტანო მეფის მოხელეთა დაცინვა. ალიოშა ჯაფარიძე ყველაფერ ამას იტანდა, იტანდა იმისათვის, რომ აშენებულიყო მაგნიტოგორსკი და ათასობით ამგვარი შესანიშნავი რამ, რამაც ჩვენი ქვეყანა გადააქცია ძლევამოსილ და უმშვენიერეს ქვეყნად მთელ მსოფლიოში, ამისათვის დახვრიტეს მხეცურად ინგლისელმა ინტერვენტებმა იგი და მისი მეგობრები—ბაქოს 26 კომისარი—კასპიის გაღმა უკაცრიელ ტრამალში, 1918 წლის სექტემბერში.

მას შემდეგ ოთხ ათეულ წელზე მეტი გავიდა. მაგრამ ელენეს დღესაც კარგად ახსოვს თავისი მამის ამხანაგები, ახალგაზრდა და სიცოცხლით სავსე ადამიანები, ხშირად რომ დადიოდნენ ჯაფარიძეების ოჯახში თბილისსა და ბაქოში, ვიდრე ის საშინელი ტრაგედია დატრიალდებოდა.

მერე ქალიშვილები—თერთმეტი წლის ელენე და ცამეტი წლის ლუცია—მარტონი დარჩნენ, მამა დაიღუპა, დააპატიმრეს დედა—ვარო ჯაფარიძე, ისიც ბოლშევიკური პარტიის უძველესი წევრი და აქტიური რევოლუციონერი. ჯაფარიძის ქალიშვილები მეგობრებმა გადაარჩინეს— მოსკოვში გაგზავნეს, სადაც 1919 წელს პატიმრობიდან თავდაღწეული მათი დედაც ჩავიდა.

... იგონებდა მაგნიტოგორსკში მყოფი ელენე მამას და მუშაობაც უფრო ადვილი ხდებოდა. მაგნიტოგორსკმა აგრძნობინა ელენეს და მისთანა ათასობით ახალგაზრდას შემოქმედებითი აღმშენებლობის ბედნიერება და სიხარული, მაგნიტოგორსკში ისწავლეს ცხოვრება. და შრომა, მაგნიტკა თითქოს მათი არსების განუყრელი ნაწილი გახდა. ახლაც, როცა იგი მეტალურგთა ახალგაზრდა თაობას შეხვდება და თვალს ადევნებს მათ მუშაობას, ლაპარაკს იწყებს ასე: «ჩვენთან, მაგნიტკაში»... იმ დღეთა ცოცხალ მოგონებად დარჩა შრომის წითელი დროშის ორდენი, რომლითაც დააჯილდოვეს ახალგაზრდა ინჟინერი ელენე ჯაფარიძე.

... უახლოვდება ელენე მაგნიტოგორსკს, სარკმელს გადაღმა მიქრიან ბორცვიანი ვაკეები და ცის ტატნობზე აცურებული ღია ყვითელი ფერის უზარმაზარი მთვარე. და რაღაც შეუცნობელი ასოციაციით ელენეს აგონდება სულ სხვა ღამე და სხვა მთვარე, რომლის ვერცხლისფერი შუქი მსუბუქად ეშვებოდა საამქროში თოვლიანი ბილიკებით. მაგრამ ეს არავის სიამოვნებას არ გვრიდა—ქვეყნის დასავლეთში სისხლისმღვრელი ბრძოლები მიმდინარეობდა, აქ, ტაგილში კი ჯავშანს ამზადებდნენ ტანკებისათვის. და აი, უცბად მწყობრიდან გამოვიდა საჯავშნე დაზგის საკისარი, ახლის შოვნა შეუძლებელი იყო. ქარხანაში ჩავიდა ელენე ჯაფარიძე, მაშინ უკვე სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სამინისტროს ენერგეტიკის მთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი რესპუბლიკის გარეთ ცხოვრობს და შრომობს ბევრი ქართველი ქალი. მათ თავიანთი უანგარო შრომით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ კომუნიზმის დიადი მშენებლობის საქმეში.

ჩვენი ჟურნალის ამ ნომერში ორი მათგანის—მეტალურგიის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილის ელენე ჯაფარიძისა და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ანტონინა შუბლაძის შესახებ გვიამბობენ მოსკოველი ჟურნალისტები ლ. მარგოლინა და ა. პრისი.



ვარი სამმართველოს უფროსი. გადაწყდა—ადგილზევე დაემზადებინათ საკისარი.

ორი დღე-ღამის განმავლობაში საამქროდან არ გასულა ორი ხარატი, ორი ახალგაზრდა და საკისარიც მზად იყო.

... ფაშისტურმა ბანდებმა ქვეყანას მოწყვიტეს დონბასი, უმნიშვნელოვანესი მეტალურგიული ბაზა. ფანტასტიკურად მოკლე დროში ხდებოდა ქვეყნის აღმოსავლეთში მრეწველობის გაჩაღება, რამაც მოითხოვა ელექტროსადგურების მუშაობის ასევე სწრაფად გარდაქმნა, ახალი მეტალურგიული ქარხნების უდიდეს მოთხოვნილებასთან მისი მისადაგება, ამ საწარმოთა ურთულესი ენერგეტიკული მეურნეობის ორგანიზაცია. რა იოლად ეჩვენებოდა ახლა ელენე ჯაფარიძეს ომის წინა პერიოდის სიძნელეები და განცდები. თუნდაც ის შემთხვევა, როცა ოცდაათიანი წლების ბოლოს იგი, ახალგაზრდა კომუნისტი ინჟინერი დაღესტანში გაგზავნეს რთული დავალებით—მოკლე ვადაში დაემთავრებინა ელექტროსადგურის მშენებლობა, ასი კილომეტრის მანძილზე გაეჭიმა გადამცემი ხაზები. როგორ ღელავდა, ვიდრე დაამტკიცებდნენ მის და უბნის სამუშაოთა მწარმოებლის მიერ შედგენილ სამუშაოთა ორგანიზაციის ახალ გეგმას, სანამ იშოვნიდნენ მასალებს, მოწყობილობას. მშენებლობის დამთავრებას 6 თვეში ვარაუდობდნენ, დამთავრდა კი... სამ თვეში.

მერე აღდგენითმა წლებმა ძალების არანაკლები დაძაბვა მოითხოვა.

იგონებს განვლილ წლებს ელენე ჯაფარიძე, იგონებს და ეჩვენება, რომ ადრე წავიდა მშვიდ სამუშაოზე, მაგრამ ეს სამუშაო როდია ისე წყნარი, როგორც ელენეს ეჩვენება. მეტალურგთა საკავშირო სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოება ერთ-ერთი უძველესი საზოგადოებაა ჩვენს ქვეყანაში. მას ცოტა ხნის წინათ არსებობის 50 წელი შეუსრულდა. ამ ხნის მანძილზე მდიდარი გამოცდილება დაგროვდა და ამ გამოცდილების გადაცემა ახალგაზრდობისათვის არც ისე იოლია. ადვილი არ არის ახლისა და მოწინავის დანერგვა და ძველისა და დრომოჭმულის უკუგდება.

... და ის თათბირი, რომელსაც უნდა მოუსწროს უკან დაბრუნებულმა ელენემ, ნამდვილად საინტერესო იქნება. აქ მარტო ახალგაზრდობასთან შეხვედრა როდი მოხდება, ეს იქნება გაბედული, მტკიცე სვლა ხვალინდელი დღისაკენ, და ელენესაც ნამდვილად შესწევს ძალა საქმიანი რჩევა მისცეს თათბირს იმის შესახებ, თუ როგორ წარიმართოს ეს სვლა მომავლისაკენ.

**ლიუდმილა მარგოლინა,**

მოსკოვი, 1960 წ. დეკემბერი.



# აქ სუნთქავს ახალგაზრდობა

ფოტო დ. იაკობაშვილის

ეს თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტია. მისი პირველი გამოშვება 1922 წელს მოხდა. იმ წელიწადს უნივერსიტეტი 28 კაცმა დაამთავრა. აქედან მხოლოდ 3 იყო ქალი.

დღეს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთაგან 123 ქალია. მათ შორის 5 მეცნიერების დოქტორია, 70—მეცნიერების კანდიდატი.

დღითიდღე იზრდება მათი რიცხვი, ივსება ახალგაზრდა კადრებით.

ნია აბესაძემ უნივერსიტეტი 1953 წელს დაამთავრა. სწავლობდა ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილებაზე. თითქოს გუშინ იყო—ლექციები, ექსპედიციები, სვანეთში მოგზაურობა, მოხსენებები, სამეცნიერო კონფერენციები, შემდეგ ასპირანტურა. უკვე მზადა აქვს სადისერტაციო შრომა—«ჰიპოტაქსური კავშირები და წევრ-კავშირები სვანურში».

ახლა ის ქართული ენის კათედრის მასწავლებელია, ქართულ ენას ასწავლის ჟურნალისტიკის განყოფილების პირველკურსელებს, ფილოლოგიის და ფიზიკის ფაკულტეტის რუსულ ჯგუფებს.

ამას წინათ ჟურნალისტიკის განყოფილების პირველკურსელები სტუმრად ეწვივნენ ქარხანა ელექტრო-ავტომატის კომუნისტური შრომის ბრიგადას, რომელსაც ზაურ რუსია ხელმძღვანელობს. მათ დავალებული ჰქონდათ ნარკვევის დაწერა. ქართული ენის სემინარზე სტუდენტებმა მასწავლებლისაგან საგულისხმო შენიშვნები მიიღეს თავიანთი ნამუშევრის ენობრივ და სტილისტურ მხარეზე.

ნანა ნემსაძე მე-5 კლასის მოსწავლე იყო, როცა უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის მცენარეთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის კათედრასთან დაიწყო მუშაობა. იგი აქ პიონერთა სასახლის ბიოლოგიის კაბინეტიდან გამოგზავნეს. საშუალო სკოლაში სწავლის პერიოდში ორჯერ იყო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე.

სტუდენტობის დროს მცენარეთა ფიზიოლოგიის სტუდენტთა სამეცნიერო წრეს ხელმძღვანელობდა. მე-2 კურსზე რომ იყო, ვილნიუსის უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე გაგზავნეს. მისმა მოხსენებამ სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს სიგელი მიიღო.



ლ. ტოლსტოის საიუბილეო სესიის მონაწილე სტუდენტები

ნანამ შარშან დაამთავრა უნივერსიტეტი. ახლა ის ასპირანტია. პრაქტიკა სწავლის პერიოდშივე გაიარა და უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე მიიღეს ასპირანტურაში. გამოყოფილი აქვს სადისერტაციო თემა—პარკოსან მცენარეებზე მიკროელემენტების გამოყენების შესახებ. შეაგროვა ბიბლიოგრაფიული მასალა, ატარებს წინასწარ ცდებს.

ნანას დიდ დახმარებას უწევს მისი ხელმძღვანელი—მცენარეთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის კათედრის გამგე ქსენია ცხაკაია.

ნოემბერში დიდი რუსი მწერლის—ლევ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოის საიუბილეო სესიაზე უნივერსიტეტიდან გაემგზავრა მეცნიერ-მუშაკთა და სტუდენტთა ჯგუფი. მათ შორის იყვნენ ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსული განყოფილების სტუდენტი გოგონები—ია მუხრანელი, ლიუდმილა შავდია, სოფიო იორდანიდი, ნათელა ვარნაზოვა, ალინა სილიკაშვილი. გზად მათ ორიოლში გაიარეს და ტურგენევის სახლ-მუზეუმს გაეცნენ. ეს გოგონები სტუდენტთა სამეცნიერო წრის აქტიური წევრები არიან.

ბოტანიკის კათედრის ასპირანტი
ნანი ჭელიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ალინა სილიკაშვილმა და ლიუდმილა შავდიამ საინტერესო მასალები ჩამოიტანეს იასნაია პოლიანადან და ოროლიდან ტოლსტოისა და ტურგენევის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. მათ კავშირი დაამყარეს რუსი მწერლების სახლ-მუზეუმების თანამშრომლებთან.

სულ მალე ისინი სტუდენტთა მორიგ სამეცნიერო კონფერენციაზე წარსდგებიან თავიანთი ნამუშევრებით.

— ქიმია სკოლაშივე მიყვარდა,—ამბობს ქიმიის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი კლარა ესაკია,—საშუალო სკოლა ფოთში დავამთავრე. კარგი ლაბორატორია გვქონდა.

იგი პირველი კურსიდან ფრიადოსანია. მე-3 კურსიდან ორგანული ქიმიის კათედრაზე მუშაობს.

მისი მეგობარი, რუსუდან ცისკარიშვილიც მე-4 კურსზეა. იგი ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელობს, მენდელეევის სახელობის ქიმიკოსთა საზოგადოების საუნივერსიტეტო საბჭოს წევრია. მე-2 კურსიდან მუშაობს ორგანული ქიმიის კათედრაზე. ამჟამად სილიციუმ-ორგანული ნაერთების სინთეზს იკვლევს.

— ახალი ნივთიერება უნდა მივიღო,—ამბობს რუსუდანი.—ეს ძალიან საინტერესოა. ბევრი მუშაობა მიხდება, მაგრამ არ ვიღლები.

ეკატერინე ოსიძემ ორი წლის წინ დაიცვა დისერტაცია თემაზე—„მიმღეობის წარმოება ქართულში". ახლა ის კავკასიურ ენათა კათედრის უფროსი მასწავლებელია.

ნონა დარსაველიძე აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტია, სპარსულ ფილოლოგიას ეუფლება. მისი სადიპლომო შრომა შეეხება სპარსული და არაბული წარმოშობის საკუთარ სახელებს „ამირან-დარეჯანიანში".

— ამ თემაზე მუშაობის დროს ბევრ საინტერესო საკითხს წავაწყდი,—ამბობს ნონა,—უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გავაგრძელებ მასზე მუშაობას. რა თქმა უნდა, ძალიან მიყვარს ომარ ჰაიამი, ფირდოუსი, ნიზამი. ამჟამად დაინტერესებული ვარ თანამედროვე სპარსელი მწერლის საიდნაფისის პოეზიით. ვთარგმნე კიდეც მისი ლექსები.

თებერვალია. ქარი ნელა არხევს უნივერსიტეტის ეზოში მაღალი ნაძვების კენწეროებს. სამხრეთის მცენარეები ორანჟერეაში შეყუჟულან. მათ თავს დასტრიალებს მათი მეგობარი —ბოტანიკის კათედრის ასპირანტი ნანი ჭელიძე.

ნანი მეორე კურსიდან მუშაობს ბოტანიკის კათედრაზე. შეისწავლა თელავის რაიონის, ლაგოდეხის ნაკრძალის, თბილისის მიდამოების ლიქენოფლორა, ამზადებს სადისერტაციო შრომას.

ორანჟერეაში გაზაფხულია. ყვავიან კაქტუსები და პატარძლები. ამ პატარა გაზაფხულს ნანი მალე გარეთ გამოიტანს. ეს მაშინ, როცა ტოტებზე კვირტები გაჩნდება, როცა მზე სხვითა კონებს ჩამოუშვებს ბაღში. პატარა გაზაფხული გაიზრდება და მთელ ბაღს მოედება. გაიღვიძებენ ტყემლები და ნუშები, იაპონური ვარდები იფეთქებენ, აიყოლებენ ყველას.

ასეთ დროს ყველაზე კარგია უნივერსიტეტი. მაგრამ ის ყოველთვის კარგია. აქ მუდამ სცემს სიცოცხლის ძარღვი, მუდამ ანთია გაზაფხულის სხივი, რომელიც უნივერსიტეტის პირველმა დამაარსებლებმა მოიტანეს.

აქ ცოცხლობს და სუნთქავს ახალგაზრდობა.

**ლამარა ბაბულაშვილი**



ნია აბესაძე მომავალ ჟურნალისტებთან



ქიმიის ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტი რუსუდან ცისკარიშვილი



ნანა ნემსაძე ლაბორატორიაში

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფოტო დ. იაკობაშვილის

# როცა მშობლები შრომობენ

— - გაილვ იძე, მაიკო, გათენდა,—უკვე მერამდენედ ვუმეორებ ჩემს ნამცეცა გოგოს, მაგრამ არ ესმის, ეზარება, თვალებს ახელს და ისევ ხუჭავს...

რა ქნას, სულ ე[illegible]ი წლისაა და ყოველ დილით 7 საათზე დგება.

მაიკო ბაგაში დადის... დადისო ვამბობ, მაგრამ ჯერ სიარული არ იცის, მხოლოდ ძლივს დაბაჯბაჯებს და წამდაუწუმ ეცემა.

აი, დედამ პირი დაბანა, დავარცხნა და კოხტად გამოწყობილი მაიკო სასაცილოდ ნაბავს თვალებს. უკვე გრძნობს, რომ ახლა ქუჩაში გავლენ და დიდ, ხალხმრავალ ავტობუსში ჩასხდებიან. მაიკო უსათუოდ ფანჯარასთან მიცოცდება, ცხვირს ფანჯრის მინას მიაჭყლეტს და გაფართოებული თვალებით გახედავს მოფუსფუსე ქუჩას.

ქუჩა იკეცება და მიჰქრის ავტობუსი. მაიკო უცინის ყველას, აკვირდება ახლოს მდგომთ.

რამდენიმე წუთი სჭირდება პეტრიაშვილის ქუჩიდან ავლას. მერე ჩვენ ცისფრად შეღებილ შენობის კარს ვაღებთ და...

დეიდა ტასო ულიმის ჩემს გოგონას. მაიკო ენდობა მას, ეს პირველად იყო, რომ იტირა, თორემ შემდეგ...

შემდეგ ყოველთვის ასე იწყება დღე:

ზედმეტ ტანსაცმელს უსათუოდ გახდიან... თან გაჯავრდებიან—გამოუსწორებელი ხალხია ეს დედები, ფუთნიან და ფუთნიან... აქ ცენტრალური გათბობაა, არ შეიძლება ზედმეტი ეც-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვათ პატარებს, გაოფლიანდებიან, ავად გახდებიანო.

...გაბმით ტირის ვიღაც. დეიდა ტასო ყველაფერს თავს ანებებს და პატარა „მომღერალი“ ხელში აჰყავს.

ეს ვაჟაა. შავი, გრძელი წამწამებით მოჩრდილულ თვალებს ცრემლი მოსწოლია. ლოყაზეც ჩამოგორებულა რამდენიმე კურცხალი. ვაჟა პირს აცმაცუნებს და თვალს არ აშორებს მაგიდაზე მწყობრად ჩამწკრივებულ ლამაზ თეფშებს.

რა ჰქნას, შია ვაჟას, ახლა სხვებიც დაჟინებით იყურებიან მაგიდისაკენ.

ჩქარობენ აღმზრდელები, დროზე უნდა დააპურონ პატარები, თორემ თუ ყველა ერთად ატირდა, მაშინ ნახე...

როცა ფაფა ცხელია, მოცდა არც ერთს არ სურს—არც ვაჟას, არც მაიკოს, არც გიას. ლამარა ყველაზე მეტს გაჰკივის...

რამდენიმე წუთის შემდეგ კი ჩუმდებიან კმაყოფილნი, დიდის მონდომებით ილოკავენ თითებს და საოცარ ამბებს უყვებიან ერთმანეთს, უცნაურ და მხოლოდ მათთვის გასაგებ ენაზე.

ახლა მაგიდაზე ცარიელი თეფშები აწყვია. აღარავინ ტირის, თამაშობენ ერთად, თანაც ჩხუბობენ, ყველას ერთი და იგივე სათამაშო უნდა. არის ბრძოლა და როგორც ნამდვილი მოჭიდავენი, გორაობენ ხალიჩაზე.

თუთიყუში ლამარას რჩება, ის ყველაზე ღონიერია და მარჯვე.

12 საათია. დეიდა ტასოს დეიდა ვერა ცვლის, მაგრამ ამას ვერ ამჩნევენ პატარები.

...სძინავთ. მზე დაუკითხავად შედის მათ ოთახებში და წასვლას არ ჩქარობს. სათითაოდ ჩამოუვლის ყველას, „გამოდითო გარეთ“ ჩაუჩურჩულებს. სძინავთ უდარდელი, ჯანსაღი ძილით. მშობლები კი შრომობენ და იციან, რომ მათ შვილებს მზრუნველი ხელები არაფერს გაუჭირვებენ.

აი, ჩვილ ბავშვებთან ფეხაკრეფით შედის ბაგის უფროსი ექთანი იულია გორგასლიძე. იგი სიყვარულით ავლებს თვალს საძინებელ ოთახში ერთმანეთთან მჭიდროდ მიდგმულ საწოლებს.

სივიწროვეა. განსაკუთრებით ჩვილ ბავშვთა ჯგუფში. 50 ბავშვის ნაცვლად 80-ს ემ ახურება ბაგა. რ ს იზამთ, უარს ვერ ეუბნებიან დედას, რომელსაც ბავშვის მომვლელი არა ჰყავს.

25 წელია ბავშვებთან არიან ბაგის გამგე სათო ჩიქოვანი და იულია გორგასლიძე.

25 წლის წინათ ვისაც ზრდიდნენ, ახლა მათ თავიანთი შვილები მოჰყავთ აღსაზრდელად. მაინც არ დაღლილან. ერთი ათი წელი კიდევ არ ვაპირებთო დაღლას—ამბობენ.

ეზოდან გამოვდივარ. ბაგაში ვტოვებ შვილს, ყველაზე ძვირფასს, ყველაზე ახლობელს. შევრბივარ უნივერსიტეტის ეზოში და რამდენიმე წუთის შემდეგ ჩემი პროფესორის საუბარი მთიშავს ყველაფრისაგან.

ამ დროს მე არ ვფიქრობ ჩემს შვილზე, მაგრამ ვიცი, რომ ახლა იქ სადილობენ. დეიდა ვერას მაიკოს სახის ფერი არ მოსწონს. ფერმკრთალიაო, მისაყვედურებს. ჰოდა, ახლა ზის მაიკო მის კალთაში და გემრიელად შეექცევა სადილს, არ გრძნობს, იქ რომ არა ვარ...



ს. ჩიქოვანი აღსაზრდელებთან

ვიცი, აღმზრდელები არიან უბრალო, ჩვეულებრივი ადამიანები, რომლებსაც უსაზღვროდ უყვართ ბავშვები და არასოდეს არ იშურებენ მათთვის სითბოს და ალერსს.

მე მინდა, ჩემს შვილსაც ასე უყვარდეს ადამიანები, გაიზარდოს და მათთვის რაიმე გააკეთოს.

მინდა, იყოს ჯანმრთელი სულითაც და ფიზიკურადაც.

...იქ, პატარა ქუჩაზე, ცისფრად შეღებილ სახლში, სადაც საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური ბაგაა, შრომობენ კარგი ადამიანები, ეხმარებიან დედებს ბავშვის აღზრდის დიდ საქმეში.

იზოლდა ორჯონიკიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უჩინარ მტერთან ბრძოლაში

დაახლოებით ათას ცხრაას ოცდათხუთმეტი წლიდან მოყოლებული შორეული აღმოსავლეთის სხვადასხვა რაიონებიდან წამოვიდა საგანგაშო ცნობები: გაჩნდა რაღაც ახალი, დღემდე უცნობი ავადმყოფობა. ადამიანი გუშინ იყო სრულიად ჯანმრთელი და მხიარული, დღეს კი, უცებ, გრძნობს სისუსტეს, თავის საშინელ ტკივილს, პირისღებინებას, სიცხე 40 გრადუსს აღწევს. გადის კიდევ რამდენიმე დღე და ზოგიერთ ავადმყოფს ემართება კრუნჩხვები, ზოგი კარგავს გონებას. არის დამბლის შემთხვევებიც, ისევე, როგორც პოლიომიელიტის დროს და ადამიანი კვდება. ხოლო თუ იცოცხლა, სამუდამოდ რჩება დასახიჩრებული. ეს ავადმყოფობა რატომღაც მხოლოდ გაზაფხულსა და ზაფხულში მძვინვარებს. ემართებათ ის უმთავრესად ტაიგურ ადგილებში ხისმჭრელებს, გეოლოგებს, ტოპოგრაფებს. მაგრამ, აი, დგება შემოდგომა, ფოთლებს სიყვითლე ეპარება და უჩინარი მკვლელები უკვალოდ ქრებიან. ქრებიან მხოლოდ იმიტომ, რომ, როგორც კი გამონათებს გაზაფხულის მზე, ისევ გაჩნდნენ და უფრო მეტი გააფთრებით მოეკიდონ თავის საშინელ საქმეს.

ადგილობრივი ექიმები სასოწარკვეთილებაში არიან ჩავარდნილი. როგორც ჩანს, ეს რაღაც განსაკუთრებული, ჯერ უცნობი ფორმაა ენცეფალიტის (ტვინის ანთება). ექიმები ყოველგვარ ზომებს იღებენ, მაგრამ ამაოდ! ავადმყოფობა დაუზოგავად ცელავს ადამიანებს.

ახალგაზრდა ექიმმა-ნევროპათოლოგმა ა. ტ. პანოვმა პირველმა წამოაყენა წინადადება—გაიგზავნოს სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიცია ამ ვირუსული დაავადების გამოსაკვლევად.

და აი, სასწრაფოდ გაიგზავნა მოსკოვიდან ექსპედიცია შორეულ აღმოსავლეთში. ყველაზე ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკი ექსპედიციის შემადგენლობაში იყო ქართველი ქალი—ანტონინა შუბლაძე. მან იმ ხანებში დაამთავრა ასპირანტურა და ის-ის იყო მიიღო მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება.

სიამაყისა და შიშნარევი გრძნობით გაემგზავრა ანტონინა შორეულ მხარეს. სიამაყის იმიტომ, რომ მას, დამწყებ მკვლევარს, მიანდვეს მონაწილეობა მიეღო ასეთ დიდ და პასუხსაგებ საქმეში. შიშობდა კი იმიტომ, რომ... გაართმევს თუ არა თავს—აი, რა იყო მთავარი!

რამდენიმე თვე მიმდინარეობდა საიდუმლო «მტრის ალყა».

ნელ-ნელა, მტკიცედ და დაჟინებით იკვლევდნენ მეცნიერები უჩინარი დამნაშავის გზას, აგროვებდნენ და უპირისპირებდნენ ერთმანეთს ფაქტებს, აგებდნენ ჰიპოთეზებს, უკუაგდებდნენ, ისევ აგებდნენ ახალს...

მალვით, მტერს საპასუხო დარტყმები მოჰქონდა. პირველად დაეცა მიხეილ ჩუმაკოვი, ექსპედიციის ერთ-ერთი წამყვანი მეცნიერი მუშაკი. ავადმყოფობა მძიმედ მიმდინარეობდა, ჩუმაკოვი დაყრუვდა, წაერთვა ხელები. მის საწოლს არ შორდებოდა ანტონინა. დილით კი, უძილობისაგან დასიებული თვალებით, ზარბაცით შედიოდა ვივარიუმში საცდელ ცხოველებთან, ან სახელდახელოდ შეკოწიწებულ ქოხ-ლაბორატორიაში აკეთებდა მორიგ ექსპერიმენტს. მერე მოვიდა საშინელი ცნობა: შორს აქედან, სხვა ჯგუფში, რომელიც ასი კილომეტრით იყო დაშორებული, ავად გახდა მისი მეგობარი, ახალგაზრდა ნიჭიერი მეცნიერი ვალენტინ სოლოვიოვი. ანტონინა საშინელ სასოწარკვეთილებაში ჩავარდა—მას ხომ არაფრით შეეძლო დახმარებოდა... სოლოვიოვმა, ჯერ კიდევ ავადმყოფობამდე ადრე წინადადება მისცა ქალიშვილს გაჰყოლოდა ცოლად. მაშინ ანტონინამ არაფერი უპასუხა: არც ხო, არც არა. მაგრამ როცა გაიგო, რომ სოლოვიოვი გადატანილი ენცეფალიტის შემდეგ დაბრმავდა, სულ დაბრმავდა,—მან იქვე, არც კი დაფიქრებულა ისე, გაუგზავნა დეპეშა: «მიყვარხარ, თანახმა ვარ».

საბედნიეროდ, ნახევარი წლის შემდეგ სიბრმავემ გაიარა და... ისინი ერთად არიან, ორი ერთგული მეგობარი, ორი გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი-ვირუსოლოგი, პროფესორები ანტონინა შუბლაძე და ვალენტინ სოლოვიოვი...

...სულ უფრო მჭიდროდ იკვრებოდა წრე უხილავი მტრის გარშემო და ბოლოს მოინახა იგი. ეს იყო ვირუსის განსაკუთრებული სახე, როგორც ეს იწინასწარმეტყველა კიდეც ლ. ა. ზილბერმა. გამოააშკარავეს ვირუსის გადამტანიც—სისხლისმწოველი ტაიგური ტკიპა. ექსპედიციამ დაადგინა ავადმყოფობის მიმდინარეობისა და ინფექციის გადადების სრული სურათი.

ეს იყო საბჭოთა მედიცინის ბრწყინვალე გამარჯვება. ექსპედიციის წევრებმა მაშინვე შექმნეს შხამსაწინააღმდეგო—ვაქცინა სუსტი ვირუსებისაგან. ჯერ სცადეს იგი ცხოველებზე, მერე ადამიანებზე. და ეს პირველი «საცდელი» ადამიანები თვით მეცნიერები იყვნენ. შემდეგ გაზაფხულს ვაქცინა გაუკეთეს ათასობით ადამიანს, რომლებიც მიემგზავრებოდნენ ტაიგაში. არცერთი მათგანი არ დაავადებულა ენცეფალიტით.

შორეული აღმოსავლეთის ამ ექსპედიციას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ანტონინას ცხოვრებაში. იქედან რომ დაბრუნდა, ის უკვე აღარ იყო წინანდელი დამწყები მეცნიერი-თანამშრომელი, რომელსაც იმედების მეტი არაფერი გააჩნდა.

* * *

ზოგიერთი ახალგაზრდისათვის მომავალი პროფესიის არჩევა სატანჯველი პროცესია. ტატა შუბლაძისათვის ეს პრობლემა არ არსებობდა. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ის სწავლობდა სკოლაში, ოჯახურ საბჭოზე (შუბლაძეებთან ყველა ასე თუ ისე დიდი საკითხი წყდებოდა კოლექტიურად) ერთხმად დაადგინეს: იყოს ტატა ექიმი.

მამა რკინიგზელი იყო და ამიტომ მთელი ოჯახი ხშირად გადადიოდა ადგილიდან ადგილზე. როდესაც ქალიშვილმა დაამთავრა საშუალო სკოლა, მაშინ ისინი ცხოვრობდნენ შუა აზიაში და ანტონინა გაემგზავრა უახლოეს სამედიცინო ინსტიტუტში—ტაშკენტში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ იცის, რა გზით წავიდოდა მისი სამედიცინო განათლება, რომ არ ყოფილიყო პროფესორი გრეკოვი. გამოჩენილმა მეცნიერმა—მიკრობიოლოგმა თავისი ლექციებით გაუღვივა ქალიშვილს სიყვარული ამ მეცნიერებისადმი.

და გადაწყდა სამუდამოდ.

მიკრობიოლოგიის საერთო კურსი არასაკმარისად მოეჩვენა და ტატა მთელ თავისუფალ დროს ატარებდა ლაბორატორიაში ან ბიბლიოთეკაში. შემდეგ ის გადმოვიდა მოსკოვის პირველ სამედიცინო ინსტიტუტში და დაამთავრა მეჩნიკოვის სახელობის ინსტიტუტის ასპირანტურა. აქვე დაწერა მან პირველი მეცნიერული შრომა პარტახტიანი ტიფის შესახებ. ასპირანტურაში ანტონინა უფრო ახლოს გაეცნო ვირუსოლოგიას. მაშინ ეს იყო მიკრობიოლოგიის ახალი, თითქმის სრულიად უცნობი დარგი და ანტონინამ გადაწყვიტა მთელი თავისი სიცოცხლე მიეძღვნა მისთვის.

პირველი ნაბიჯებიდანვე ახალგაზრდა მეცნიერება თითქმის გადაულახავ წინააღმდეგობას წააწყდა. მიკრობიოლოგს რა უჭირს: მას აქვს მიკროსკოპი, მას შეუძლია გაამრავლოს მიკრობები. მაგრამ რა ჰქნას ვირუსოლოგმა? არავითარ ოპტიკურ მიკროსკოპში არ შეიძლება ვირუსის დანახვა, არსად არ შეიძლება მისი გამრავლება, მისთვის აუცილებელია ცოცხალი უჯრედი. ეს კიდევ არაფერი—არსებობენ ვირუსები, რომლებიც მხოლოდ ადამიანის ორგანიზმში ცოცხლობენ. როგორ გინდა დააკვირდე მას? ხომ არ შეიძლება გაკეთდეს ცდები ცოცხალ ადამიანზე!

აი, როგორ მტერს, ყველგან მყოფსა და გაქნილ მტერს ებრძვის ანტონინა კონსტანტინეს ასული. ებრძვის დღიდან დღემდე, აგერ უკვე ოცდარვა წელია!

* * *

პირველმა ექსპედიციამ ცხადჰყო, რომ მტერი არც ისე შეუცნობელია, რომ შესაძლებელია მისი დამარცხება. ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ვირუსოლოგიის შემდგომი განვითარებისათვის.

მას შემდეგ გავიდა წლები. ამ წლებმა მთელი ეპოქა შექმნეს ვირუსოლოგიის ისტორიაში. აღმოაჩინეს წითელას და გრიპის, პოლიომიელიტის და ენცეფალიტის, კუჭნაწლავის ათეული დაავადების ამგზნები საშუალება. ენერგიული მუშაობა მიმდინარეობს კიბოს დაავადების მიზეზების შესწავლისათვის.

ახლა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ანტონინა შუბლაძე ხელმძღვანელობს ერთერთ ძირითად განყოფილებას მოსკოვის დ. ივანოვსკის სახელობის ვირუსოლოგიის საკავშირო ინსტიტუტში. ეს არის საერთო ვირუსოლოგიის განყოფილება, სადაც წყდება მეცნიერების ამ დარგის საკვანძო თეორიული პრობლემები.

არის საკითხების ჯგუფი, რომელიც ყველაზე მეტად აინტერესებს ანტონინას. ესაა ნერვული სისტემის ინფექციური ვირუსული დაავადებანი: ენცეფალიტები და მისი მსგავსი დაავადებანი. განსაკუთრებული ადგილი მის ცხოვრებაში უჭირავს ეპიდემიური გეპატიტის (სიყვითლე) გამოცნობას. რვა წელია მის ლაბორატორიაში დასდევენ «ყვითელ ყაჩაღს», ის კი არსად ჩანს...



— ასეთია ყველა მეცნიერების სპეციფიკა საერთოდ და ჩვენის განსაკუთრებით: მარცხი მეტია წარმატებებზე,—ამბობს ანტონინა კონსტანტინეს ასული,— მაგრამ თვითეული «მარცხი» ეს მაინც ნაბიჯია წინ. ესე იგი, ჩვენ ვადექით არასწორ გზას. ესე იგი, ჩვენი წინასწარმეტყველება მცდარი იყო, მათზე უარი უნდა ვთქვათ და მუშაობა თავიდან დავიწყოთ, ახალი მიმართულებით. რაც შეეხება გეპატიტს,—განაგრძობს ის,— ჩვენ იარაღის დაყრას არ ვაპირებთ. ამგზნები ჩვენგან ვერსად წავა. ჩვენ მას ვიპოვით, აუცილებლად ვიპოვით!

* * *

ვირუსოლოგიის საკავშირო ინსტიტუტის მრავალრიცხოვან ლაბორატორიებში მიედინება მკაცრი, ყოველმხრივ გაზომილი ცხოვრება. სიჩუმე, სიმშვიდე, ადამიანებიც კი თითქოს ჩურჩულით ლაპარაკობენ. უცხო თვალს ასეთი ატმოსფერო შეიძლება ზედმეტად მშვიდი, ზოზინა მოეჩვენოს.

არ დაუჯეროთ თქვენს თვალს! ზოზინი კი არა, ეს ზუსტი გაანგარიშებაა, სიმშვიდე კი არა—საზღვარსგადაცილებული, დაძაბული ყურადღება. აქ ბრძოლაა, მკაცრი, სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლა. ხედავთ, თერმოსტატს ქათმის დაავადებული კვერცხებით? თვითეული ასეთი ნაჭუჭი შეიცავს მეტ და განუზომლად უფრო სასიკვდილო შხამს, ვიდრე ყველა გველი მთელს დედამიწის ზურგზე. აქ იბრძვიან ჩემი და თქვენი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, იმისათვის, რომ არ იყოს დედამიწაზე არავითარი ავადმყოფობა—არც მიკრობული, არც ვირუსული! ამისათვის იბრძვის ანტონინა შუბლაძე!

**ალექსანდრე პრიხი,**
მოსკოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მამაცური სიცოცხლე

ექსკურსანტები ათვალიერებდნენ ავლაბრის არალეგალურ სტამბას. ერთი მათგანი განსაკუთრებული ინტერესით მიაჩერდა ახალგაზრდა ქალის სურათს. „რა გაბედული უნდა ყოფილიყო, რომ ასეთი სახიფათო გზა აერჩია“, —გაიფიქრა მან.

— ეს ნინა ალაჯალოვაა, თბილისში ცხოვრობს,—განმარტავს ექსკურსიის მძღოლი.

„უსათუოდ უნდა ვინახულო, გავიცნო“—გადაწყვიტა ექსკურსანტმა და მისამართი ჩაიწერა.

სტუმარი მიიჩქარის გრიბოედოვის ქუჩაზე. სახლი № 20, მეოთხე სართული. ღილაკს ხელი დააჭირა. კარების იქიდან ისმის მუსიკის მძლავრი ბგერები.

უფრო მაგრად აჭერს ზარს.

მუსიკა შეწყდა. მოისმა ჩქარი ნაბიჯების ხმა.

ნახევრად გაღებულ კარებში გამოჩნდა თმათეთრი, საშუალო ტანის ქალი. უცნობმა მოუბოდიშა, მოულოდნელი მისვლის მიზეზი აუხსნა...

მყუდრო ოთახის ერთ კუთხეში დგას ხუფახდილი პიანინო, ირგვლივ ყვავილები, ფანჯარასთან მარაოსავით გადაშლილი ვეებერთელა პალმა, არაჩვეულებრივი სისუფთავე.

...უსმენს, უსმენს სტუმარი... აი როგორი ყოფილა ის, ნინა, ერთადერთი ცოცხლად დარჩენილი ადამიანი ამ ზღაპრული სტამბიდან. თვალები უბრწყინავს მოსულს, კიდევ ბევრი, ბევრი რამ უნდა მოისმინოს, მაგრამ ეჩქარება, მოსკოვის მატარებელს უნდა მიუსწროს. უდიდესი მადლიერების გრძნობით ემშვიდობება სტუმარი მასპინძელს და თან მიაქვს არაჩვეულებრივი შთაბეჭდილებანი. მეხსიერებაში ღრმად ჩარჩენილი ამ ადამიანის სახე.

...გაისმის ტელეფონის ზარი:

— ნინა ნიკიტიშნა, გელაპარაკებით ავლაბრის სტამბიდან, ექსკურსიის მონაწილე ახალგაზრდებს სურთ თქვენთან შეხვედრა. შეიძლება?

— კეთილი, მოვიდნენ. ვისაუბრებთ.—პასუხობს იგი.

ცოტაც და ოთახი მოსწავლეებით ივსება. სულგანაბული უსმენენ ისინი ღვაწლმოსილი რევოლუციონერი ქალის მგზნებარე საუბარს— როგორ იბრძოდნენ უფროსი თაობის ადამიანები წინათ...

ნინა ალაჯალოვამ ცხოვრების 80 წელი მიითვალა, აქედან თითქმის 60 წელი კომუნისტური პარტიის რიგებში მოღვაწეობს.

იგი დაიბადა დონზე, ნახიჩევანში. მდიდარ ოჯახს ერთადერთი ქალიშვილი ჰყავდა. დედით ადრე დაობლებულს, თავს ევლებოდა მამა.

ნინას მუსიკის დიდი ნიჭი აღმოაჩნდა. დაამთავრა დონის როსტოვის მუსიკალური სასწავლებელი, გადაწყვიტა პეტერბურგში გამგზავრება უმაღლესი მუსიკალური განათლების მისაღებად. მამა წინააღმდეგია, 16 წლის გოგონა ასე შორს როგორ გაგზავნოს მარტო! მაგრამ ქალიშვილის ნებისყოფა ძლევს ამ წინააღმდეგობას.

ნინა ამთავრებს პეტერბურგის კონსერვატორიას. 1900 წელს კონცერტზე მის გამოსვლას პეტერბურგის პრესა თბილად გამოეხმაურა.

„...ნიჭის მიხედვით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ქ-ნი ალაჯალოვა, რომელმაც დიდის გატაცებით და ინდივიდუალური ფერებით შეასრულა თავისი ნომერი. შეიძლება ვუწინასწარმეტყველოთ დიდი მომავალი, თუ იგი არ შეწყვეტს მუშაობას“...— ვკითხულობთ გაზეთის გაყვითლებულ ფურცლებზე.

მაგრამ რატომ მოაბრუნა ნინამ ასე მკვეთრად თავისი ცხოვრების გზა, როცა მას, მდიდარი ოჯახის შვილს, ყველა საშუალება ჰქონდა მიეღწია დიდი მუსიკალური კარიერისათვის და ეცხოვრა განცხრომით?

* * *

ეს იყო XX საუკუნის დასაწყისი, საზოგადოებრივი ცხოვრების აბობოქრების ეპოქა, როცა ისტორიის სარბიელზე გამოვიდა ახალი ძალა—მუშათა კლასი. ნინა მოხვდა რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდობის წრეში, ეცნობა მარქსისა და ლენინის მოძღვრებას, ღრმად წვდება პოლიტიკურ ვითარებას. ამან განსაზღვრა მთელი მისი შემდგომი ცხოვრება. ნინას ესმის, რომ თვითმპყრობელობის პირობებში მუსიკა ფუფუნების საგანია, და რომ რევოლუციური მუშაობისათვის საჭიროა თეორიული მომზადება. მან გადაწყვიტა გერმანიაში გამგზავრება...

ბერლინის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში იგი ხშირად ესწრება მუშათა კრებებს, ეცნობა გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას, უსმენს მის ბელადებს: ა. ბებელს, რ. ლიუქსემბურგს, კ. ცეტკინს, კ. ლიბკნეხტს. მან მტკიცედ გადაწყვიტა—მთელი ცხოვრება მოახმაროს მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეს. 1902 წელს იგი ბრუნდება რუსეთში პირველი პარტიული დავალებით: ჩაიტანოს თბილისში არალეგალური ლიტერატურა. ჩემოდნის საიდუმლო ძირში დამალული ძვირფასი ტვირთი დიდი სიფრთხილით გადმოაქვს საზღვარზე.

მამას ეგონა, ამჯერად მაინც დაიყოლიებდა ქალიშვილს თავის ნებაზე—დატოვებდა ოჯახში და გაათხოვებდა. რას წარმოიდგენდა, თუ რა ტვირთი ედო ჩემოდანში მის ქალიშვილს! მშობელი კვლავ წააწყდა შვილის რკინისებურ ნებისყოფას, ნინას გადაწყვეტილება ურყევია— გაემგზავროს თბილისში, სადაც პიტერელი მეგობრები ელოდებიან.

თბილისში ნინა გაეცნო და დაუკავშირდა არალეგალურ პარტიულ ორგანიზაციას და შეუდგა პროპაგანდისტულ მუშაობას მუშებსა და ახალგაზრდობაში.

რუსეთის პირველი რევოლუციის ზობოქარ დღეებში—1905 წელს—ნინა ალაჯალოვა შეჰყავთ რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის შემადგენლობაში, კომიტეტის წევრები იყვნენ რევოლუციური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწეები: ი. სტალინი, მ. ცხაკაია, ს. წულუკიძე, ლ. კეცხოველი, მ. ბოჭორიძე და სხვები.

კომიტეტში მისი, როგორც მდივნის, ძირითად მოვალეობას შეადგენდა საზღვარგარეთ, უმთავრესად ამხანაგ ლენინთან საიდუმლო მიმოწერის გაშიფრვა.

რუსეთის რევოლუციის გამოძახილმა ამიერკავკასიამდეც მიაღწია. აქაც აღმართეს აჯანყების დროშა, მის შტაბს კავკასიის კავშირის კომიტეტი წარმოადგენდა. ადგილებზე ყალიბდება ტექნიკური ჯგუფები პარტიზანული ბრძოლების მეთოდების შესასწავლად და ფეთქებადი ყუმბარების დასამზადებლად. ნინა ალაჯალოვა შეჰყავთ თბილისში შექმნილ სამხედრო ჯგუფის შემადგენლობაში.

...ავლაბრის არალეგალურ სტამბაში დიდ და სახიფათო მუშაობას აწარმოებდნენ ერთიანი რევოლუციური სულისკვეთებით შეკავშირებული ადამიანები. მეფის ჟანდარმერიას შეუმჩნეველი არ დარჩა ეს. 1906 წელს დაარბიეს სტამბა, დააპატიმრეს იქ მომუშავე ამხანაგები, მათ შორის ნინა ალაჯალოვაც. ორი თვის შემდეგ იგი გაანთავისუფლეს ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო.

რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ მძვინვარებს შავი რეაქცია, გართულდა მუშაობა. ჟანდარმერიის აგენტების დევნას რომ თავი დააღწიოს, ნინა მიემგზავრება ბაქოში, სადაც კვლავ ებმება აქტიურ რევოლუციურ მუშაობაში.

ოქტომბრის რევოლუციის წინადღეებში თბილისში შედგა კავკასიის ბოლშევიკების პირველი ყრილობა. ნინა ალაჯალოვას ირჩევენ კავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრად. ორი წლის მანძილზე, 1919 წლამდე, ვიდრე მენშევიკები დააპატიმრებდნენ, იგი ასრულებს კომიტეტის მდივნის მოვალეობას.

ოქტომბრის რევოლუციამ გაიმარჯვა. რუსეთში დამყარდა მუშათა და გლეხთა ხელისუფლება. ამიერკავკასიაში ხელისუფლების სათავეში მოექცნენ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები: საქართველოში—მენშევიკები, სომხეთში—დაშნაკები, აზერბაიჯანში—მუსავატელები.

ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად მენშევიკებმა დახმარებისათვის მიმართეს საზღვარგარეთელ ინტერვენტებს, თეთრგვარდიელებს. 1919 წელს საქართველოში ჩამოდის თეთრგვარდიელი გენერალი ბარატოვი, მას მოუწყვეს თავდასხმა. მენშევიკებმა ეჭვი ნინა ალაჯალოვაზეც მიიტანეს, დააპატიმრეს იგი და თბილისის საგუბერნიო ციხეში ჩასვეს. ოთხი თვის შემდეგ კი საქართველოდან გაასახლეს. ალაჯალოვა სომხეთში გაემგზავრა. იქ მან მონაწილეობა მიიღო ალექსანდროპოლში (ახლანდელი ლენინაკანი) დაშნაკების წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში. აჯანყების დამარცხების შემდეგ, მას დაემუქრა დაპატიმრების საფრთხე. ამიტომ იგი სხვისი პასპორტით კვლავ თბილისში ბრუნდება.

კავკასიის ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების მოწყობის შესახებ. პანიკით შეპყრობილი მენშევიკური მთავრობა ხელაღებით აპატიმრებს ბოლშევიკებს, აივსო თბილისის ციხეები, პატიმრებს ქუთაისისა და ბათუმის ციხეებშიც გზავნიან. დააპატიმრეს ნინა ალაჯალოვაც.

1921 წლის თებერვალში საქართველოს მუშებმა და გლეხებმა, წითელი არმიის დახმარებით, დაამხეს მენშევიკების ბატონობა და თავისუფლების წითელი დროშაააფრიალეს. გაიღო საპატიმროთა კარები. განთავისუფლდა ნინა ალაჯალოვაც.

საბჭოთა საქართველოს მშრომელები შეუდგნენ ახალი ცხოვრების შენებას, სოციალისტურ გარდაქმნებს.

ნინა ალაჯალოვა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ქალთა განყოფილებაშია და დიდ მუშაობას ეწევა ქალთა მასების განათლებისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. შემდეგ იგი აირჩიეს ამიერკავკასიის კ. პ. (ბ) სამხარეო კომიტეტის საკონტროლო კომისიის წევრად, ამასთან მუშაობს საქართველოს პარტკონტროლის კოლეგიის წევრად, მისი ლიკვიდაციის დღემდე.

1937 წლიდან ნინას გზავნიან რემედასის (რევოლუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაცია) საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ. 1940 წლიდან იგი პერსონალური პენსიონერია.

ნინა ნიკიტას ასული ახლა 80 წლისაა, მაგრამ ძნელია დაიჯეროთ ეს, როცა ხედავთ მის გაუტეხელ სულს, ძალასა და ნებისყოფას. იგი ცხოვრობს ჩვენი ქვეყნის ყოველდღიური მჩქეფარე ცხოვრებით, ხარობს მისი წარმატებით. ეს ღრმად განათლებული ადამიანი ყოველთვის არის პოლიტიკური ცხოვრების კურსში. ხშირად ნახავთ მას სამხედრო ნაწილებში, მოსწავლე ახალგაზრდობასთან, მუშებთან და მოსამსახურეებთან საინტერესო მოგონებებით გამოსულს. იგი უაღრესად სპეტაკი და თავმდაბალი ადამიანია.

ნინა ალაჯალოვას მრავალი ძველი და ახალი მეგობარი ჰყავს. მის მაგიდაზე ალაგია წერილებისა და დეპეშების მთელი გროვა, რომელსაც იგი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან იღებს.

როცა სახლშია, თუ არ კითხულობს, უთუოდ ფორტეპიანოსთან ზის. კვლავ მხურვალედ უყვარს მუსიკა.

— გინდათ, დაგიკრათ ილიჩის საყვარელი ნაწარმოები — ბეთჰოვენის „აპასიონატა"?— გეტყვით იგი.

...ჩვენ სწრაფად გადავფურცლეთ დიდი ცხოვრების ფურცლები...

ნინა ალაჯალოვა ეკუთვნის რევოლუციონერ ქალთა სახელოვან პლეადას, მთელი მისი ცხოვრების გზა წარმოადგენს ხალხის უანგარო სამსახურის მაგალითს.

ბედნიერია ნინა—იგი მოესწრო თავისი ახალგაზრდული ოცნებების განხორციელებას.

რევოლუციის გზას ნინა დაადგა მაშინ, როცა ლენინის ხელმძღვანელობით საძირკველი ეყრებოდა მარქსისტულ პარტიას რუსეთში, და მოესწრო ჩვენს დღეებს—კომუნისტური მშენებლობის ლენინური იდეების გამარჯვებას.

**ეკატერინე მესხი**

# იავნანას რა უქნეს

გახსოვთ იაკობ გოგებაშვილის მშვენიერი მოთხრობა „იავნანამ რა ჰქნა?" რა ფაქიზად, რა გულშიჩამწვდომად მოგვითხრობს ავტორი იმ წარუშლელ კვალზე, რომელსაც „იავნანა" ტოვებს ბავშვის სულში. ესაა მარადიული ჰანგი აკვანზე დახრილი დედის სიყვარულისა. ჩვილი დედას უფრო ხმითა და ალერსიანი ინტონაციით ცნობს, ვიდრე გარეგნული განსახიერებით. ამიტომაც, იავნანა განუმეორებლად და ღრმად რჩება მის მეხსიერებაში. იავნანა, იავნანა... თვით ბგერებიც ამ ორი, შერწყმული სიტყვისა ჰარმონიულია, თბილია და ლამაზი. ამ სიმღერით გამოზარდა ქართველმა დედამ მამულისათვის თავდადებული ათასობით გმირი, ამ სიმღერით უნერგავდა ყველაზე დიდ გრძნობას—მამულისა და მშობლების სიყვარულს.

მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ბოლო ხანებში იავნანას იშვიათად თუ გაიგონებთ ოჯახებში. მისი ტკბილი, მელოდიური ბგერები სულ ნაკლებად და ნაკლებად ისმის. სავალალოა ისიც, რომ ბევრმა მოზარდმა მხოლოდ სასკოლო ასაკში გაიგო მისი არსებობა, როცა „დედა ენაში" ამოიკითხა გოგებაშვილის ეს მოთხრობა.

ვის დავდოთ ბრალი?

ნუ იფიქრებთ, რომ ჩვენ ახალგაზრდა დედებს ვადანაშაულებთ! მაშ, რაშია საქმე? რატომ აღარ მღერიან ახლადშექმნილ ოჯახებში ტკბილ იავნანას?

ამაზე პასუხი მხოლოდ ერთია: ბავშვის სარეცელთან იავნანას დამღერებას ახალგაზრდა დედები ზოგიერთ „ნოვატორთა" ინიციატივის გამო ერიდებიან. ახლა ამ სიმღერას სხვა „გამოყენება" მოუნახეს.

ყველასათვის ცნობილია, რომ მუსიკა ადამიანის სულიერი განწყობილების საუკეთესო გამომხატველია. მუსიკა ენაა, რომლის საშუალებითაც გარშემო მყოფთ გააგებინებ შენს განცდას, სიხარულსა თუ ჭირ-ვარამს. ალბათ, ამიტომაა, რომ დამკრძალავ ბიუროს დამკვრელებმა სამგლოვიარო პროცესიებზე თუ პანაშვიდებზე „აჟღერეს" იავნანა, თავიანთ რეპერტუარში შეიტანეს იგი. დღეს იავნანა საქართველოდან სხვა რესპუბლიკებშიც გავიდა, მაგრამ, არა როგორც დედის ტკბილი, სუფთა და უანგარო ძიძისპირული სიმღერა, არამედ როგორც გლოვისა და ტირილის მელოდია.

აბა, როგორ უმღეროს ახალგაზრდა დედამ თავის პირმშოს იავნანა, როცა მისი მელოდია გულის გამგმირავ სურათთანაა დაკავშირებული: მახლობლები და ნათესავები დასტირიან უდროოდ დაკარგულ ძვირფას ადამიანს, რომელიც გულხელდაკრეფილი, უხულოდ წევს კუბოში. ოთახში კი ამ დროს ვიოლინოზე ჟღერს იავნანა.

სწორედ ამ ჰანგზე აგონდება ახალგაზრდა დედას ქვითინი და უბედურება. დედას ტანში აზრიალებს. და განა გაამტყუნებ ამის შემდეგ—რატომ იავნანას არ უგალობს თავის პატარასო?!

მაგრამ დედამ ხომ მაინც უნდა უმღეროს თავის პატარას? და, აი, აქ იწყება სხვა უვნებელი მოტივების ძებნა, რომელთა დამღერება არ გამოიწვევს შემაძრწუნებელ მოგონებას.

ჩვენი ვალია დავუბრუნოთ იავნანას თავისი ნამდვილი დანიშნულება, გავუფრთხილდეთ, გადავცეთ იგი შთამომავლობას, როგორც თავისუფალი, ბედნიერი მშობლის ჰიმნი ჯანსაღი მომავლის აღსაზრდელად.

საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლები: ეკატერინე ბურჯანაძე, ნინო ბოცვაძე და თამარ ჩერქეზიშვილი, პენსიონერი პედაგოგი სოფიო ძოწენიძე-აბზიანიძე, პედაგოგები: ნინო კაკუშაძე და მარიამ გალოგრე, დიასახლისი ეკატერინე ჯობაძე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ჟურნალ «საბჭოთა ქალის» რედაქცია სავსებით იზიარებს წერილში გამოთქმულ შენიშვნებს. ვბეჭდავთ რა ამ წერილს, დარწმუნებული ვართ, რომ სათანადო ორგანოები გაითვალისწინებენ ჩვენი დედების სამართლიან გულისტკივილს.

იავნანას რა უქნეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარიამ გარიყული

ეს ერთი წელია დიდუბის პანთეონში მშვიდად განისვენებს მშობელი ერის წინაშე ვალმოხდილი მწერალი ქალი მარიამ გარიყული.

ამ სავანისაკენ მხოლოდ რჩეულთა გზა მიდის და მარიამ გარიყულიც აქ მის მიერ უმწიკვლოდ და ნამუსიანად, შრომითა და ბრძოლით განვლილმა გზამ მიიყვანა.

«ქართველი მოღვაწე ქალები»—ამ წარწერითაა გამოქვეყნებული 1914 წელს «სახალხო გაზეთის» ფურცლებზე შესანიშნავ ქართველ ქალთა პორტრეტები. მათ შორის მარიამ გარიყულიცაა. მისი ახალგაზრდული იმედებით, სიცოცხლის ტრფობით და ბრძოლის წყურვილით სავსე თვალები ოცნებით გასცქერიან მომავალს.

იმ დღიდან რამდენიმე ათეულმა წელმა განვლო. და აი, ერთი წლის წინათ, მწერალმა სახსოვრად დაუტოვა მკითხველთა თაობებს ნიჭიერი, მებრძოლი, მშრომელი და პატიოსანი ქართველი ქალის თავგადასავალი.

«განვლილი გზა»—ასე ეწოდება მემუარების წიგნს, რომლის ფურცლებიდან ხან ნაღვლიანი, ხან სიხარულით გაბრწყინვებული შემოგვცქერის იგი თავისი ახდენილი თუ აუხდენელი ოცნებებით, მწერლური ჩაფიქრებით, მებრძოლური განწყობილებებით და ქალური, მხოლოდ დედისა და ქალისათვის გასაგები ტკივილებით.

მარიამ გარიყული (რატიანი) დაიბადა სოფელ გუბში 1883 წ. 20 მარტს. მწერლის მამა ლუკა თათეიშვილი იმ დროისათვის საკმაოდ განათლებული კაცი იყო. პირველდაწყებითი განათლება მომავალმა მწერალმა ოჯახშივე მიიღო, შემდეგ კი ქუთაისში განაგრძო სწავლა, მერე თბილისში გადმოსახლდა, სადაც რევოლუციური იდეებით გატაცებული, გულმხურვალედ ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში.

1901 წელს მარიამი ავჭალის სახალხო თეატრის სცენისმოყვარეა, ერთი წლის შემდეგ წარმატებით მონაწილეობს ქუთაისის თეატრის დრამატული დასის დადგმებში, ხოლო მომდევნო წლებში ისევ თბილისს უბრუნდება და სასცენო მოღვაწეობასთან ერთად მწერლობას ჰკიდებს ხელს.

მარიამ გარიყული იმ შესანიშნავ ქართველ ქალთა რიცხვს ეკუთვნის, რომელნიც თავდაუზოგავად იბრძოდნენ მონობისა და უსამართლობის მოსასპობად, ძმობის, ერთობისა და თავისუფლების დასამყარებლად.

ეს ბრძოლა, როგორც მწერალიც აღნიშნავს, დიდ საფრთხესთან იყო დაკავშირებული: «გაზეთები, ბროშურები, პროკლამაციები, კრებები, ბინიდან ბინაზე გადასვლა, მალვა, კონსპირაცია, შიში, აი ჩვენი იმდროინდელი ყოველდღიურობა»... ამ ყოველდღიურობით ცხოვრობდა მარიამის მთელი ოჯახი: დედა, და... ხოლო ქმარი იარაღასხმული ებრძოდა შავრაზმელებს.

იმ ყოველდღიურობის, ხალხის მძიმე და გაჭირვებული ცხოვრების, მისი ბრძოლის, შრომის, მწუხარების თუ სიხარულის, ოცნებებისა და იმედების გამოხატვას ემსახურებოდა მარიამ გარიყულის ხალასი ნიჭი და მართალი კალამი. მან პირველივე მოთხრობით—«ცხოვრების მსხვერპლი» დაიმსახურა მკითხველის ყურადღება და პატივისცემა, რაც შემდეგ თან გაჰყვა მთელი შემოქმედებითი ცხოვრების გზაზე.

გარიყულის მოთხრობები მართალი სარკეა ჩვენი ხალხის ცხოვრებისა, მათ ყოველ ბწკარში ძალუმად ფეთქავს ჰუმანისტი, რეალისტი, ყოველგვარ სიმახინჯესთან შეურიგებელი მწერლის გული. ამიტომაც იყო, რომ მისი მოთხრობა «ჯაშუში» მეფის ცენზურამ აკრძალა.

მარიამისათვის, როგორც ქალისათვის, განსაკუთრებით გასაგები და მახლობელი იყო ქალის ბედი: მის მოთხრობებში ქალთა პორტრეტები განსაკუთრებული ხელოვნებითაა გამოძერწილი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან იწყება ახალი ერა მარიამ გარიყულის შემოქმედებაში. იგი გაორკეცებული ენერგიით ებმება ახალი ცხოვრების შენებაში—იბრძვის უდიდესი მსხვერპლის ფასად მოპოვებული ბედნიერების შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.



ადვილი არაა პირნათლად ვალმოხდილი წარსდგე შენი ერის წინაშე როგორც მწერალი, დედა და მოქალაქე. ყველაფერი ეს ქალისაგან უდიდეს მსხვერპლს მოითხოვს, უდიდეს სულიერ და ფიზიკურ ძალას. მარიამ გარიყული ორთავეს—შვილებსაც და წიგნებსაც თანაბარი სიყვარულით უთევდა ღამეს და შესძლო კიდეც, ხუთი შვილის აღზრდასთან ერთად, რამდენიმე მართალი რომანისა და მოთხრობისათვის დედობა გაეწია.

დიაღ, ასე გულმხურვალედ ემსახურებოდა მარიამ გარიყული ქართულ მწერლობას, როგორც მართალი მემატიანე; ქართულ თეატრს, როგორც გულწრფელი, უანგარო მსახიობი; რევოლუციას, როგორც რიგითი პატიოსანი მებრძოლი.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, წელში გამართული და გონებანათელი მწერალი ქალი სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე იდგა ახალი ცხოვრების მშენებლობის ხარაჩოებზე. იგი წავიდა ჩვენგან 77 წლისა, მაგრამ ჯერ კიდევ სიცოცხლის და შემოქმედების წყურვილით სავსე.

მარიამ გარიყულის კალამს ეკუთვნის საბავშვო ლექსები, ნარკვევები, მემუარები, რომანები და მოთხრობები, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია: «ცხოვრების მსხვერპლი», «ჯაშუში», «დედა», «შემთხვევა», «ტრაქტორისტები», «დურგალი მიხეილი» და სხვა.

მწერალი ქალის გარდაცვალების შემდეგ ჟურნალ «მნათობში» გამოქვეყნდა მისი ბოლო საინტერესო რომანის «გარღვეული მიჯნის» ნაწილი, რომლის დასრულებაც მწერალს აღარ დასცალდა.

მკითხველი ყოველთვის სიყვარულით გადაფურცლავს ამ წიგნებს... ქართველი საზოგადოება სათუთად შეინახავს გულში მარიამ გარიყულის კეთილ ხსოვნას.

**მარიკა ბარათაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „სევდია"



მე-20 საუკუნის ათიანი წლები. . .

თელავი. . .

პატარა დაბის ყოველდღიური, ერთფეროვანი ცხოვრება. . .

მხოლოდ ხანდახან აფიშები—იმართება წარმოდგენა, ან რომელიღაც მწერლის საღამო. . . აფიშის ბოლოში წარწერა, რომ წარმოდგენას მართავს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. . .

ეს ნიშნავდა პატარა წიგნის მაღაზიას, რომელიც ამ საზოგადოებამ დააარსა თელავში და სადაც იქაური თავისუფლად მოაზროვნე ინტელიგენცია ერთადერთ ნავთსაყუდელს პოულობდა.

და რაც უნდა ყოფილიყო—რომელიმე ლიტერატურული ნაწარმოების წაკითხვა, თუ საქველმოქმედო საღამო, ახალი იდეის, ახალი მიმდინარეობის. ახალი წამოწყების გარშემო თათბირი, თუ დედაქალაქიდან ჩამოსულ სტუმარს უმართავდნენ ნადიმს ალაზნის პირას, ყველგან პირველი იყო ამ წიგნის მაღაზიის გამგე ნინო გოგოლაძე, პატარა, ლამაზი ქალი. . . ხაოცრად რბილი ნაკვთებით და სევდიანი თვალებით, არაჩვეულებრივად ქალური და ამასთან არაჩვეულებრივად მამაკაცური მტკიცე ხასიათისა. . .

თელავის წმინდა ნინოს სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ვაჟთა გიმნაზიაში სათანადო გამოცდები ჩააბარა და მასწავლებლის წოდება მიიღო; მაშინ გოგონა იყო. ცხოვრობდნენ ნადიკვრის ზემოთ, რჩეულიშვილების სახლში, დედ-მამა და ნინო ძმით.

ამ სახლის აივნიდან თელავი იშლებოდა. . . ერეკლეს სასახლე და მის ირგვლივ პატარა საცხოვრებელი სახლები... ნადიკვარი. . . შორს ალაზნის ველის ლურჯი ჰორიზონტი... აქედან იწყებოდა იდუმალების მთელი სამყარო.

მის პოეტურ ბუნებას მომავლის ათასი სურათი ეხატებოდა. ამაღლებული, ზეკაცობრიული იდეებით აღტაცებული, ოცნებობდა ხალხისათვის თავდადებაზე, სიყვარულის, მშვენიერების მარადიულობაზე. აიღებდა წიგნს და მოძებნიდა აივანზე მყუდრო კუთხეს... მერე ავიწყდებოდა წიგნი, თავისი თავიც და შორეულ ცისფერ მთებს ანდობდა თავის იდუმალ ფიქრებს. . .

«ჩემი მხედველობა სუსტია განსჭვრიტოს ცხოვრების სიბნელე, დაინახოს რა მარხია მის ძირში!.. აქ მე ყველასათვის უცხო ვარ, ცხოვრების შეურიგებელი მტერი... მარტოდმარტო! სული ობოლი!»

მისი პირველი ნაწარმოებები მარტოობის, გზააბნეული ობოლი სულის კვნესა იყო, მარადიული სიყვარულის მიუგნებლობის ჩივილი.

კახეთის უსაზღვრო ზეცაში პოულობდა იმედსაც და სევდის მიზეზსაც. ეს იმედი ავიწყებდა ყველაფერს და ხანდახან ხელგაშლილი მზად იყო გულში ჩაეკრა თვალუწვდენელი სივრცეები...

მშვენიერება! უკვდავება!!!
მაგრამ მალე ისევ ეჭვი და შიში...
ბუნებას მუქი საღამოს ფერი გადაეკრა.
ნათელი გაქრება?
წყვდიადი გამეფდება?
გამაერთლა!

ცხოვრება კი თავისი გზით მიდიოდა. ადამიანები ჰქმნიდნენ, იბრძოდნენ, ანგრევდნენ და ახლის შექმნაზე ოცნებობდნენ... ნინოც იზრდებოდა, გაურკვევლობის ბურუსი იფანტებოდა და ნელნელა მისი აზრები კონკრეტულ სახეს იღებდნენ. მხოლოდ სევდას, მისი სულის თანამოზიარეს, თავი ვერ დააღწია. ამიტომ აირჩია თავის ფსევდონიმად «სევდია», ასე შევიდა ქართულ ლიტერატურაში და ასე შემორჩა იმ მკითხველების მეხსიერებასაც, ვინც თავის დროზე თვალყურს ადევნებდა „სახალხო ფურცელს", „თეატრსა და ცხოვრებას", „ნაკადულს", „სახალხო განათლებას", „სახალხო გაზეთს"' „ქალთა ალმანახს" და ბევრ სხვას.

მისი ფსიქოლოგიური ნოველები და ელეგიები მაღალი ოსტატობით, სიფაქიზით, გრძნობათა სიღრმით გამოირჩეოდნენ. აქა-იქ თავს იჩენდა ბარათაშვილის მოტივები, უფრო კი—იმ პერიოდის პოეტებისათვის დამახასიათებელი ლირიკული განწყობილებები თეთრ ლექსად.

შემდეგ კი, როცა საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ თელავში წიგნის მაღაზია გახსნა, კახეთში წერა-კითხვისა და წიგნის გავრცელების ხელმძღვანელად უკვე ცნობილი მწერალი ქალი სევდია აირჩია. ეს იყო 1912 წელს. იმ დღიდან ნინო გოგოლაძე ამ საქმეს ედგა სათავეში.

მისი პუბლიცისტური წერილები, რომლებიც ჟურნალ-გაზეთებში თავსდებოდა რუბრიკით—„წერილი მეგობარს", ყურადღებას იქცევენ საკითხის სწორად და კონკრეტულად დაყენებით: პირველი მსოფლიო ომი და მისი რეაქცია ქართველი მშრომელი ხალხის ცხოვრებაზე, ქართველი გლეხკაცის განათლების აუცილებლობა, მიძინებული ეროვნული თვითშეგნების გაღვიძება... 1912 წელს „სახალხო გაზეთი" ათავსებს სევდიას მილოცვას „გორის ქართველ ქალთა წრის დაარსების გამო", მილოცვა ბევრ საჭირბოროტო საკითხთან ერთად ქართველი დედის მოვალეობას ეხება.

ამ წერილმა იმ დროს დიდი გამოხმაურება ჰპოვა.

1910 წელს ქართულმა დასმა ნატო გაბუნია-ცაგარლისა და ვასო აბაშიძის მონაწილეობით დადგა სევდიას პიესა „მკითხავი". შალვა დადიანი წერდა: „უპირველეს ყოვლისა, მე ის მომწონს, რომ სრულიად უპრეტენზიოდ არის დაწერილი. ავტორი არ გამოდგომია სხვადასხვა ფსიქოლოგიურ ხლართსა და სადრამო კვანძებს. საკვირველის უბრალოებით, ბუნებრივად არის გადმოცემული სოფლის ცხოვრება და დიდის დაკვირვებით, საქმის ცოდნით არის განსახიერებული ყველა მოქმედი პირი. ჩვენი რეჟისორებისათვის ეს პირდაპირ დიდ, ხორციან მასალას წარმოადგენს... ასეთ პიესებს დიდი განძი შეუძლიათ შეიტანონ ჩვენი დრამატურგიის სალაროში".

ნინო გოგოლაძე-სევდიამ თავის დროზე დიდი როლი ითამაშა, როგორც მწერალმა, პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ. სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე მას არ გაუგდია კალამი და არც საზოგადოებრივ საქმისთვის დაუნებებია თავი.

იგი გარდაიცვალა 1958 წლის სექტემბერში, კახური შემოდგომის ოქროსფერ დღეებში. ქართველმა საზოგადოებამ აღნიშნა მისი მოკრძალებული ღვაწლი ქართული კულტურის განვითარებაში, მისი დაუშრეტელი ენერგია და მაღალი, პოეტური სული...

ალექსანდრე გვენცაძე,
ციხანა ჟორჟოლიანი.

# დაუვიწყარი ინტერვიუ



პროფ. ი. ჟორდანია

ამ მძიმე კარებს ბევრი აღებს შიშითა და ფარული იმედით. უკან რჩება რღვევის პირას მისული ოჯახი, ცრემლები და თეთრად გატეხილი ღამეები, ზოგჯერ—ათასობით კილომეტრებიც. და რაგინდ სხვადასხვა არ უნდა იყოს მათი ხასიათი და ბედი, ამ კარებს მაინც ყველა მათგანი აღებს შიშითა და ფარული იმედით.

...რადგან დარდი აქვთ ერთი,

და მეგზური ჰყავთ ერთი—დედობის საუკუნოვანი ინსტიქტი.

ისინი აქ მოდიან, როცა უკვე აუტანელი ხდება მარტოობა, დარდი, რომ შენს ოჯახში ჯერ არავის ამოსჭრია პირველი კბილი...

და როცა ისინი არ მოდიან, ბარათები ყვებიან მათი სახელით.

ვინ დასთვლის დღეში რამდენ ასეთ ბარათს ღებულობენ ლენინის ქუჩაზე, № 43-ში. ასეა აი, თითქმის სამი წელი. მას შემდეგ, რაც ამ რუხი შენობის კედელზე გაჩნდა პატარა დაფა წარწერით: „ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი."

მაგრამ ამ სახელით მას მხოლოდ სამედიცინო წრეებში თუ მოიხსენებენ. სხვებისთვის კი მას ხხვა სახელი ჰქვია—უბრალო და იმედიანი—„უშვილობის ინსტიტუტი".

მოდით, შევიხედოთ. ვნახოთ, რა კეთდება აქ, რაზე მუშაობენ, ოცნებობენ ინსტიტუტის თანამშრომლები, რა გააკეთეს ან რას გვპირდებიან.

და განა ვინ უნდა გვიამბოს ამაზე, თუ არა პროფესორმა ჟორდანიამ—მსოფლიოში სახელგანთქმულმა მეცნიერმა, ამ ინსტიტუტის დამაარსებელმა და პატრიოტმა?

* * *

ეს ინტერვიუ არასოდეს დამავიწყდება. იქნებ, იმიტომ, რომ ის ასე დაიწყო:

— დაკვირვებიხართ, რა ადრე ბერდებიან ქალები მამაკაცებთან შედარებით? ჩვენმა ინსტიტუტმა უნდა გამოასწოროს ბუნების ეს უსამართლობა!

საწერად მომარჯვებული კალამი ხელში შემიჩერდა. პროფესორმა გაიღიმა და სავარძლის ზურგს მიეყრდნო:

— რაო, არ გჯერათ?

— ალბათ, ამას ჩვენი მკითხველების გულის მოსაგებად ბრძანებთ, პატივცემულო პროფესორო...

ის იღიმება და უარის ნიშნად თავს აქნევს. იღიმება და არ იცი, ხუმრობს თუ არა ამ წუთში, რადგან ამ შენობაში, საერთოდ, ძნელია გამიჯნო ხუმრობა და მართალი, რეალური და ფანტასტიური. აქ ისე უბრალოდ ლაპარაკობენ იმაზე, რაზეც ათეული საუკუნეების განმავლობაში ოცნებობდა კაცობრიობა და რაც ყოველთვის მიაჩნდათ განუხორციელებელ ოცნებად...

ბრძოლა სიბერესთან!

— ძველი მიდის, ახალი რჩება,—ამბობს იოსებ ჟორდანია.—ეს ბუნებრივი კანონზომიერებაა. მაგრამ როცა შეიძლება ჩვენი სიცოცხლე იყოს უფრო ხანგრძლივი და მდიდარი? რატომ არ შევუწყოთ ხელი ბუნებას, თუ მას ადამიანი ისე გაუჩენია, რომ 150 წელიწადი მაინც იცოცხლოს—უნდა მეთქვა—იცხოვროს—ჯანღონით სავსემ, იშრომოს, დრო გაატაროს...



ანასტასია გვერდწითელი (მარცხნივ) შემოვლაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს მისი საყვარელი გამოთქმაა. და რაზეც არ უნდა საუბრობდეს. ამ აზრს მაინც უბრუნდება პროფესორი ჟორდანია.

— ეს, რა თქმა უნდა, მომავლის საქმეა,—განაგრძობს ის,—და იქნებ, არც ისე შორეული მომავლის. ჯერ კი სიბერესთან საბრძოლველად მეცნიერება სინჯავს, ეძიებს ახალ გზებს, წყვეტს დიდ და პატარა პრობლემებს...

...რაც შეეხება ჩვენს ინსტიტუტს, ის უმთავრესად ქალებს ემსახურება. უშვილობასთან, უშვილო ქორწინებასთან ბრძოლა, ქალის ახალგაზრდობის გახანგრძლივება და მოხუცებულობით გამოწვეული ცვლილებების შეჩერება—აი, რა საკითხებზე მუშაობენ ჩვენი მეცნიერი თანამშრომლები კლინიკურ და ექსპერიმენტულ ნაწილში.

...უშვილო ქალთა სამკურნალოდ ინსტიტუტში გახსნილია პოლიკლინიკა და სტაციონარი, სადაც ყოველმხრივ შეისწავლიან ქალის უშვილობის, მენსტრუალური ციკლის დარღვევის, პათოლოგიური კლიმაქტერიუმის მიზეზებს, აწარმოებენ რენტგენოლოგიურ და ლაბორატორიულ გამოკვლევებს და შემდეგ უახლესი მეთოდებით უტარებენ სათანადო მკურნალობას. ამ დღეებში ამუშავდება ჩვენი ბალნეოლოგიური განყოფილება და ეს, ცხადია, უფრო ეფექტურს გახდის მკურნალობას.

...სტაციონარულ განყოფილებას ხელმძღვანელობს გამოცდილი სპეციალისტი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ანასტასია გვერდწითელი. როგორია შედეგები? მივმართოთ ფაქტებს: დღემდე აქ ნამკურნალევი ქალების ოცი პროცენტი უკვე დედაა, ან უახლოეს დროში გახდება დედა. სამწუხაროა მხოლოდ ერთი რამ: განყოფილება თავისი 50 საწოლით ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას. აქ ხომ ჩვენი ქვეყნის უშორესი კუთხეებიდანაც ჩამოდიან სამკურნალოდ.

ასევე შეზღუდულ პირობებშია პოლიკლინიკა და მაინც დღეში ასამდე ავადმყოფს იღებს.

— ექსპერიმენტული ნაწილი? რას მოიცავს თქვენი ინსტიტუტის ექსპერიმენტული ნაწილი?

— აქ შედის ჩვენი სამეცნიერო ლაბორატორიები. გნებავთ, მოკლედ გიამბობთ მათ შესახებ.

...ექსპერიმენტული ქირურგიის ლაბორატორია ეძებს ისეთ ახალ ოპერაციებს, რომლებიც ახლო მომავალში გამოიყენება პრაქტიკაში და კლინიკაში შემდეგი პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად: ქალისა და მამაკაცის უშვილობის ქირურგიული მკურნალობა, ნაადრევი მოხუცებულობის ქირურგიული მკურნალობა, ენდოკრინული და სასქესო ორგანოების (საშვილოსნოს, საკვერცხის, ფალოპის მილების) გადანერგვა.

...გარკვეული ნაწილი ამ ექსპერიმენტული ცდებისა გამოყენებულია პრაქტიკაში. ასე, მაგალითად, ლაბორატორიის მიერ დამუშავებულია ახალი ქირურგიული მეთოდი, რომელმაც მსოფლიოს მეცნიერთა ყურადღება დაიმსახურა ჰერონტოლოგთა V მსოფლიო კონგრესზე სან-ფრანცისკოში.

რას წარმოადგენს ეს ახალი მეთოდი?

მოგახსენებთ:

როგორც ცნობილია, 40 წლის შემდეგ ქალის სქესობრივი ფუნქცია სუსტდება და ნელ-ნელა იწყებს ქრობას. აი, ნაადრევი მოხუცების მიზეზი. ჩვენ დაგვებადა აზრი: შეიძლება თუ არა საკვერცხეების სისხლძარღვებით მომარაგებით აღდგენილი იქნას მათი ქრობადი ფუნქცია? ცდებს ვაწარმოებდით ძაღლებზე და კურდღლებზე, რომლებშიც წინასწარ ხელოვნურად გამოვიწვევდით უნაყოფობას და სიბერეს. საცდელი ცხოველის საკვერცხეს ვაკერებდით სისხლძარღვებით მდიდარ ბადექონს, ამით ვაძლიერებდით სასქესო ორგანოებში სისხლის მიმოქცევას და საკვერცხეების ქრობადი ფუნქციის აღდგენას ვაღწევდით.

...ხომ გასაგებია საით მივყავართ ამას? რა ფართო პერსპექტივა ეხსნება უშვილობის ქირურგიას და კიდევ მეტიც—ქირურგიას, ორგანიზმის ნაადრევ სიბერესთან მებრძოლს?

...აი, ეს საკითხი გავიტანეთ ჰერონტოლოგების V მსოფლიო კონგრესზე. მოხსენებამ სწავლულთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია და, ამერიკელი ჟურნალისტების თხოვნით, იმავე დღეს მოგვიწყვეს პრეს-კონფერენცია. მეორე დღეს კი ბევრმა გაზეთმა დაბეჭდა სენსაციური სტატიები ამ მოხსენების ირგვლივ. მე თან წამოვიღე ზოგიერთი მათგანი. აი, მაგალითად, ეს. გაზეთის მთელ გვერდზე მსხვილი შრიფტით არის აწყობილი:

„ბებერ ძაღლს შეუძლია შვილის გაჩენა!“

...მერე ამაზე, ამბობდნენ, ვიღაც ხანშიშესულ მანდილოსანს ენაკვიმატად თუ სინანულით უთქვამს: „რა უბედურებაა, რომ ძაღლად არ გავჩნდი!“—ღიმილით იგონებს პროფესორი.



ცინარა გაჩეჩილაძე (მარჯვნივ). ლია კერესელიძე და ორდინატორი იოსებ რუხაძე

...ახლა ჩვენი ექსპერიმენტული ლაბორატორია ახალ ცდებში და ძიებებშია. გასულ წელს მეცნიერ-თანამშრომლებმა მოაწყვეს პირველი სამეცნიერო ექსპედიცია უდაბნოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში და ადგილობრივად ჩაატარეს ცდები ბებერ და უნაყოფო ცხვრებზე.

...ლაბორატორიას კონსულტაციას უწევს პროფესორი დავით მამამთავრიშვილი. მეცნიერი თანამშრომლები ოთარ გოცირიძე (ლაბორატორიის ხელმძღვანელი), მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატები გაიოზ ვასაძე, ზურაბ ჭილაძე და კიდევ სხვა ნიჭიერი ახალგაზრდები დიდი ინტერესით და გულისყურით აწარმოებენ ახალ-ახალ ოპერაციებს.

...პათფიზიოლოგიის ლაბორატორიაში შეისწავლიან ნერვული სისტემის როლს სასქესო სფეროს რეგულაციაში. ლაბორატორია აღჭურვილია უახლესი აპარატურით, რომელთა საშუალებით ლაბორატორიის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი თორნიკე ძიძიგური, მეცნიერ-თანამშრომელი ვალტამ პოლშინი და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ნუნუ მაისურაძე ატარებენ საინტერესო ცდებს და აქვთ კიდეც გარკვეული წარმატება.

ენდოკრინოლოგიის ლაბორატორია შემდეგ პრობლემებს შეისწავლის: უნაყოფობას, მუცლის ჩვეულ მოშლილობას, კლიმაქტერიუმს, ენდოკრინულ მოშლილობებს, რაც გავლენას ახდენს საკვერცხეების ფუნქციაზე, და სხვას. ამ განყოფილებას ხელმძღვანელობს ექიმი თენგიზ ბოლქვაძე, აქვე მუშაობენ ნუკრი ცერცვაძე და ასპირანტი ჯუნა ბალათურია.

ცნობილია, რომ უშვილო ქორწინების დაახლოებით ოცდაათ პროცენტში მამაკაცს მიუძღვის ბრალი. ანდროლოგიის ლაბორატორიაში სწორედ ეს საკითხები შეისწავლება—რად ეკარგება მამაკაცს შთამომავლობის შექმნის უნარი, რა არის ამის მიზეზი?

ამის დასადგენად ლაბორატორიაში იკვლევენ მამაკაცის ენდოკრინული ჯირკვლების (ფარისებრი, თირკმელზედა დანამატის ჯირკვლების) მოქმედებას და მათი დაავადების შემთხვევაში უტარებენ სათანადო

მკურნალობას. მკურნალობის შემდეგ ბევრს დაუბრუნდა ჯანმრთელობა, და ზოგი, თუ სულ არ გამოჯანმრთელდა, თავს მაინც ბევრად უკეთესად გრძნობს. ლაბორატორიას ხელმძღვანელობს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი თამაზ ბეგიაშვილი.

ბიოქიმიის ლაბორატორიაში მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ლეილა ტყეშელაშვილი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ნინო ტაბატაძე და ვენერა ბაბლიძე იკვლევენ ქალისა და მამაკაცის უშვილობის ბიოქიმიურ მექანიზმს.

ემბრიოგენეზის ლაბორატორიის მიზანია მიკროსკოპულად შეისწავლოს უშვილობის მიზეზები და ახსნას მათი წარმოშობა. მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ეთერ მაჭავარიანი და უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ცინარა გაჩეჩილაძე აზუსტებენ, თუ რატომ ფერხდება ნაყოფის ნორმალური განვითარება, რა იწვევს ჩვეულ აბორტს, სწავლობენ სიმახინჯეების წარმოშობის მიზეზებს.

— აი, მოკლედ, ყველაფერი ჩვენი ინსტიტუტის შესახებ,—ამთავრებს პროფესორი ქორდანია.

* * *

მაგრამ ეს არ არის ყველაფერი. დანარჩენი ვკითხოთ წერილებს'

წერილები, წერილები! ისინი ცვივიან, როგორც თეთრი ფანტელები. სიხარულის და ბედნიერების მაცნედ. სადღაც იუჟნო სახალინსკში დედა გახდა ანა პარხომენკო და მოფრინავს ბარათი—„მე თქვენ მომეცით ახალი სიცოცხლე". არხანგელსკში ზინაიდა გაკურნას შეეძინა პირველი ვაჟი, ჩელიაბინსკში—ტატიანა სონოვას. იქიდანაც—ინსტიტუტს მადლობა.

და აქ მებადება კითხვა:

— მაინც როგორ მოხდა,—მივმართავ საორგანიზაციო-მეთოდური სექტორის ხელმძღვანელს გაიოზ ჩანტლაძეს,—რომ ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის ინსტიტუტი, ერთადერთი არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მთელს მსოფლიოში, სწორედ ჩვენთან, საქართველოში დაარსდა?

— ეს იმიტომ, რომ ამ საქმის ენთუზიასტი ჩვენი პროფესორი გახლავთ. პროფესორი ჟორდანია დიდიხანია ფიქრობდა ამ ინსტიტუტის დაარსებაზე. მოსკოვში თავისი მუშაობის ბოლო წლებში მან ჩამოაყალიბა კიდეც მეან-გინეკოლოგიის კათედრასთან „უშვილობის შემსწავლელი ლაბორატორია". შემდეგ კი, როცა საქმე ინსტიტუტის დაარსებაზე მიდგა, მან მის ადგილსამყოფელად თბილისი აირჩია. რატომ? იმიტომ, რომ მოსახლეობის მატების მხრივ საქართველო ბევრად ჩამორჩება სხვა რესპუბლიკებს, ხოლო ზოგიერთ რაიონს ამ მაჩვენებლების მიხედვით უკანასკნელი ადგილი უჭირავს მთელ საბჭოთა კავშირში. ასე დაგვიბრუნდა ჩვენი სასიქადულო მეცნიერი და იცით, რა ენერგიით შეუდგა მუშაობას?

ამას კი უკვე აღარ ჭირდებოდა განმარტება. არ ჭირდებოდა იმიტომ, რომ ახლა საქართველოში იოსებ ჟორდანია ერთერთი ყველაზე პოპულარული მეცნიერი და მოქალაქეა. მახსენდება მისი შეკითხვა:

— ათავსებთ ხოლმე თქვენს ჟურნალში წერილებს იმის შესახებ, თუ რა უდიდესი ზიანი მოაქვს ქალისთვის აბორტს? და განა მარტო ქალისთვის, არამედ მთელი ერისთვისაც?

ენდოკრინოლოგიური ლაბორატორიის ხელმძღვანელი თ. ბოლქვაძე, ასპირანტი ჯ. ბალათურია (მარცხნივ) და მეცნიერმუშაკი ლ. მამულაშვილი





რენტგენო-დიაგნოსტიკური კაბინეტის გამგე ნ. ძნელაძე

— დიაღ,—ვუპასუხე.

— ამაზე ხშირად უნდა წეროთ,—სთქვა მან და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა.—და განა მარტო ვწეროთ, ამაზე უნდა ყველგან ვილაპარაკოთ, ყველა გზაჯვარედინზე უნდა ვიყვიროთ, რომ ყველა ქალმა გაიგოს, რას უმზადებს ზოგჯერ თავისთავს.

...ინსტიტუტში სამუშაო დღე მთავრდება. ვეთხოვები გ. ჩანტლაძეს და უცებ ღია კარადაში წერილების დასტას ვამჩნევ.

— ეს ჩვენი ინსტიტუტის მიმოწერაა საზღვარგარეთელ მეცნიერებთან,—მიხსნის ის.—ჰერონტოლოგების V კონგრესის შემდეგ მიმოწერა უფრო გაცხოველდა. მეცნიერები, რომლებმაც მაშინ ჩვენს პროფესორს მოუსმინეს, ახლაც წერენ, თხოულობენ მის კონსულტაციას, სურთ გაიგონ რა არის მას შემდეგ ახალი ჩვენი ინსტიტუტის მუშაობაში. ბევრგან სურთ კიდეც ასეთი პროფილის ინსტიტუტის დაარსება—ისინი დაწვრილებით ცნობებს თხოულობენ.

გასული წლის 16 სექტემბერს ინსტიტუტს ეწვია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის გამცვლელი სემინარის მონაწილეთა ჯგუფი, რომელიც გაეცნო დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის დაყენების საქმეს საბჭოთა კავშირში. სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ახლო და შუა აღმოსავლეთის და სამხრეთ ამერიკის 19 ქვეყნის 26 წარმომადგენელმა. აი, მათი შთაბეჭდილებები.

ჩანაწერები ძალიან ბევრია, მაგრამ მე მსურს მხოლოდ ერთი მათგანი მოვიყვანო, რომელიც ინდოეთის ქერალის შტატის ჯანდაცვის სამინისტროს დირექტორის მოადგილეს—ელილა სებასტიანს ეკუთვნის:

„ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა იმ აქტიურმა კვლევითმა მუშაობამ, რომელსაც ინსტიტუტი ატარებს უნაყოფობის მიზეზების ძიებისა და მკურნალობისათვის. ინდოელი ხალხის რწმენით უშვილო ქალს წყევლიან და ოჯახის შემარცხვენლად თვლიან. ეს მართლაც უდიდესი ხოტბის ღირსია—დაუბრუნო ქალს დედობის უფლება. და მე გისურვებთ კიდევ ბევრი ბედნიერება მიგეტანოთ და შეგენარჩუნებინოთ მრავალ ოჯახში".

ან ჩვენ რა ვუსურვოთ ამაზე მეტი?

**ნანული ბარათაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ფოსტა

### ბ რ ი გ ა დ ი რ ი

1943 წელს დაიწყო შურა ქაშიბაძემ მუშაობა წულუკიძის აბრეშუმის ძაფსალებ-საგრეხ ფაბრიკაში ძაფის გამკინძველად. სოფლელ გოგონას პირველად ეუცხოვა ყველაფერი, მაგრამ გულმოდგინედ აკვირდებოდა გვერდით მდგომი ამხანაგების მუშაობას, ისმენდა მათ ახსნა-განმარტებას და მალე გაიწაფა.

შრომაში გადიოდა დღეები, ქალიშვილს აღარ აკმაყოფილებდა მიღწეული. შურა ოცნებობდა დაუფლებოდა ძაფის გრეხის პროფესიას. სურვილი მალე აისრულა, მგრეხავად დაიწყო მუშაობა.

ახლა შურა კომუნისტური შრომის ბრიგადას ხელმძღვანელობს. ყველაზე ადრე ცხადდება სამუშაოდ, ჯერ დაზგებს დაათვალიერებს, მერე მუშებს ჩამოუვლის, თვალს ადევნებს თვითეულის მუშაობას, ხანდახან შეუსწორებს რომელიმეს. ბრიგადაში ყველა ერთნაირად ფიქრობს—პატიოსნად და მაღალნაყოფიერად იშრომოს. ამიტომაც იყო, რომ ბრიგადამ შვიდწლედის პირველი წლის საწარმოო გეგმა 126 პროცენტით შეასრულა.

ეს კარგი მაჩვენებელია, მაგრამ კომუნისტური შრომის ბრიგადა მიღწეულს როდი ჯერდება. შვიდწლედის მესამე წლის დასაწყისიდანვე იბრძვის იგი საწარმოო გეგმის ვადაზე ადრე შესასრულებლად.

შურა ქაშიბაძის ბრიგადა ამ ვალდებულებასაც გაანაღდებს.

**გ. გეგუჩაძე,**

წულუკიძე.

### დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი

წითელწყაროს რაიონში ყველა იცნობს ელენე დარჩიაშვილს, ნინო ჯალიაშვილს და მარიამ ლაპიაშვილს. ისინი რაიონული საბჭოს დეპუტატები არიან.

აღმასკომში, სადაც ელენე მდივნად მუშაობს ხშირად მიდიან ამომრჩევლები თხოვნით—ზოგს რა აწუხებს და ზოგს რა. ამომრჩეველთა მოთხოვნილების გათვალისწინებით მოასფალტდა ლენინის ქუჩა, გაიყვანეს რადიოხაზი, აქვთ ელექტროგანათება, სტალინისა და ლენინის ქუჩების შესაყარში გააკეთეს წყალგამტარი მილი.

მარიამი პედაგოგია. მას დიდი საქმე—ბავშვების აღზრდა აქვს მინდობილი, მაგრამ არც ხალხის საჭიროება ავიწყდება. რუსთაველის ქუჩის გამწვანება, სტალინის ქუჩის წყლით უზრუნველყოფა დეპუტატის წამოწყებაა.

ნინო ჯალიაშვილი ექიმია. მას ყველა იცნობს, როგორც თავმდაბალ და დაუზარებელ ადამიანს. იგი ხშირად არის ამომრჩევლებთან, ესაუბრება ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე, საჭიროების შემთხვევაში ეხმარება ავადმყოფებს. ამიტომაც ემადლიერებიან და საყვარელ მკურნალს ეძახიან ამომრჩევლები.

**ელენე ფავლენიშვილი,**

წითელი წყარო.

## პოლონური იუმორი

### სასამართლოში

— პატივცემულო მოსამართლევ, გთხოვთ ჩემი განქორწინების საქმე კარდახურულ დარბაზში გაარჩიოთ.

— რატომ?

— გაცივებული ვარ.

* * *

ის იყო ტახტიდან ავდექი, რომ იმავე წამს კედლის მძიმე საათი ჩამოვარდა და დაეცა სწორედ იმ ადგილას, სადაც ერთი წუთის წინ თავი მედო. ჯერაც გონს ვერ მოვსულიყავ, რომ ჩემმა ცოლმა მითხრა:

— იცი, ჩვენი კედლის საათი ყოველთვის იგვიანებს...

* * *

— ისევ დასალევად მიდიხარ? გახსოვდეს, რომ პარასკევს ბინის და სინათლის ქირაა გადასახდელი.

— რას ამბობ, შე კაი ქალო, პარასკევამდე ვერ დავბრუნდები?

* * *

— ასე არვარგა, ჩემო კარგო, შენი ქმარი ყოველ წუთს გლალატობს. თვალყური უნდა ადევნო და მისი ყოველი ნაბიჯი შეამოწმო.

— ადვილი სათქმელია, ჩემი ქმარი მფრინავია.

### ჯენტლმენი

როდესაც თვითმფრინავი მკვეთრად დაეშვა, ჯენტლმენი მიუბრუნდა მეზობელ ქალს:

— უკაცრავად, ქალბატონო, ჩემი ყურების შუილით ხომ არ შეგაწუხეთ?

* * *

— ექიმო, საშიშია ჰიპერტონული დაავადება?

— რას ბრძანებთ, ქალბატონო!

— ექიმო, დამშვიდებით მიპასუხეთ, ავად მე კი არა ვარ, ჩემი ქმარია.

### ქალთა საუბარი

— როგორ მოგწონს ჩემი ახალი ქუდი?

— ძალიან ლამაზია. ზუსტად ასეთი მქონდა მეც, როცა ასეთი ქუდები მოდაში იყო.

* * *

ეჭვიანი ცოლი ყოველთვის ტიროდა, როცა ქმარი სახლიდან მიდიოდა. როდესაც ქმარი გარდაიცვალა, ყველა გაოცებული იყო ქალის სიმშვიდით.

ამხანაგმა ჰკითხა:

— შენ უკვე აღარ ტირიხარ?

— რა მაქვს სატირალი? ახლა ხომ დანამდვილებით ვიცი, სად წევს ჩემი ქმარი.

### მეუღლეთა შორის

— დამესიზმრა, თითქოს შენ ძვირფასი საჩუქარი მომართვი.

— ხედავ! შენ კი ყოველთვის ჩივიხარ, რომ შენზე არ ვფიქრობ!

* * *

ექიმ-პედიატრს ურეკავს აღელვებული დედა. ყურმილს შინამოსამსახურე იღებს.

— ექიმი სახლშია?

— წასულია, ხვალ იქნება!

— რაღა ვქნა ხვალამდე. ჩემმა შვილმა ავტოკალამი გადაყლაპა.

— არა უშავს, ხვალამდე ფანქრით ისარგებლეთ.

პოლონურიდან თარგმნეს

**მედეა მალანიამ და სტანისლავ რავიჩმა**

# კულინარია

## დიასახლისის გამოცდილება

### ფხვიერი ნამცხვარი

50 გრ კარაქი, 1 ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი, 2 კვერცხის გული, 1/3 ჩაის კოვზი სოდა, 2 1/2 ჩაის ჭიქა ფქვილი კარგად აურიეთ ერთმანეთში. ცომი გაყავით სამად და გამოაცხვეთ ცალ-ცალკე.

ამ ცომისათვის კრემი ასე მოამზადეთ:

2 ჭიქა რძე მიიყვანეთ ადუღებამდე, ცოტა შეაგრილეთ და კვლავ დადგით ცეცხლზე. აიღეთ 3/4 ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი, კარგად შეურიეთ 2 სუფრის კოვზ ფქვილში და ნელნელა ჩაყარეთ ცეცხლზე მდგარ რძეში, თან კოვზით განუწყვეტლივ ურიეთ. როცა მასა დუღილს დაიწყებს, გადმოდგით ცეცხლიდან. შემდეგ მასში ცალ-ცალკე ათქვიფეთ 2 კვერცხის გული, ცოტაოდენი ვანილი და კვლავ დადგით ცეცხლზე. განუწყვეტლივ ურიეთ წამოდუღებამდე.

თბილი კრემი წაუსვით ნამცხვრის ნაწილებს და შეაერთეთ. შემდეგ კრემი ზევიდანაც წაუსვით და გააფორმეთ ნიგვზით ან მურაბით.



### ნიგვზის ტორტი

1 1/2 ჭიქა შაქრის ფხვნილი, 1 1/2 ჭიქა გატარებული ნიგოზი, ამდენივე დაფშვნილი ვანილის ორცხობილა (სუხარი), 3 კვერცხი, 1/2 ჩაის კოვზი საჭმლის სოდა კარგად აურიეთ. მიღებული ფხვიერი მასა გაყავით ორად და ჩუდოში ცალ-ცალკე გამოაცხვეთ (ჩუდოს კარაქწასმული ქაღალდი ჩაუფინეთ). გამომცხვარ ნაწილებს წაუსვით ცხელი კრემი (რომელსაც ზემოთმოყვანილი წესით მოხარშავთ) და შეაერთეთ. შემდეგ ზევიდანაც წაუსვით ცხელი კრემი.

სუფრაზე მიტანის წინ ლამაზად გააფორმეთ კაკლის მურაბით, შემწვარი ნიგვზით ან თხილით.

### ნამცხვარი „მერენგი"

5 კვერცხის ცილა ძალიან კარგად ათქვიფეთ და თანდათან დაუმატეთ ცოტა ვანილი და შაქრის ფხვნილი.

ჩუდოს წაუსვით კარაქი, მიღებული მასა სუფრის კოვზით ამოიღეთ და ჩუდოში გაალაგეთ ისე, რომ ერთმანეთს არ ეხებოდნენ და გამოაცხვეთ.



### ნამცხვარი „კართოფილა"

ერთი ჭიქა დაფშვნილი ვანილის ორცხობილა აურიეთ ერთ ჭიქა შაქრის ფხვნილსა და 300 გრ კარაქში. დაასხით ერთი თლილი ჭიქა ცხელი რძე, უყავით ცოტა ვანილი, კარგად აურიეთ და დადგით გრილ ადგილას.

გაციებული მასიდან სუფრის კოვზით აიღეთ ცომი და გამოაცხვეთ კარაქწასმულ ჩუდოში. მზა ცხელი ნამცხვარი ამოავლეთ შაქრის პუდრისა და კაკაოს ნარევში.



### ნიგვზის ბისკვიტი

8 კვერცხის ცილა კარგად ათქვიფეთ. შემდეგ თქვეფაში სათითაოდ დაუმატეთ 8 კვერცხის გული, 1, 1/2 ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი, არეული გატარებულ ნიგოზთან, გემოვნებით ლიმონის ცედრა და 1 ჭიქა დაფხვნილი ორცხობილა. მიღებული მასა ჩაასხით ჩუდოში გამოსაცხობად.

### ტორტი „დათუნია"

3 კვერცხის გული ათქვიფეთ 1/2 ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილში, დაუმატეთ 200 გრ კარაქი. 1/2 ჩაის კოვზი საჭმელი სოდა გახსენით 1 სუფრის კოვზ ძმარში, ცოტა მარილით, მიღებულ მასას დაუმატეთ სამი ჭიქა ფქვილი.

ცალკე ათქვიფეთ 3 კვერცხის ცილა, დაუმატეთ 1/2 ჭიქა შაქრის ფხვნილი და 300 გრ დაფშვნილი ნიგოზი.

ცომი გაყავით სამად, ცილიანი ნიგოზი გაყავით ორად და წაუსვით ცომის ნაწილებს, შეაერთეთ და გამოაცხვეთ 35-40 წუთის განმავლობაში.

კრემი ამ ნამცხვრისათვის ასე მოამზადეთ:

1 ჭიქა შაქრის ფხვნილი და 2 სუფრის კოვზი კაკაო აურიეთ, დაასხით 1/2 ჭიქა რძე და დადგით ნელ ცეცხლზე 20-25 წუთის განმავლობაში. მერე გადმოდგით, შეაგრილეთ. შემდეგ ამ მასაში ათქვიფეთ 100 გრ კარაქი. მიღებული კრემით გააფორმეთ ნამცხვარი, აქა-იქ ჩააწყვეთ შოკოლადი «დათუნია».

### ლიმონის ნამცხვარი

1 ჭიქა მაწონი, 50 გრ საფუარი, 200 გრ კარაქი, ცოტა სოდა და მარილი ერთმანეთში აურიეთ. დაუმატეთ 2 1/2-3 ჩაის ჭიქა ფქვილი. ეს ცომი გაყავით სამ ნაწილად, ნაწილებს შორის მოათავსეთ შემდეგნაირად მომზადებული ლიმონის მასა:

1 ლიმონი კანიანად გახეხეთ, დაუმატეთ ერთი ჭიქა შაქრის ფხვნილი. მიღებული მასა ორ ნაწილად გაყავით, მოათავსეთ ცომის ნაწილებს შორის და ჩადეთ გამოსაცხობად.

ლ. ცინცაბაძე

გარეკანის პირველ გვერდზე—ამხ. ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის ტრიბუნაზე.

ფოტო ვ. გინზბურგის და გ. ვახტანგაძის


რედაქტორი თ. აბაშიძე.

სარედაქციო კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბალდავაძე, ე. თვაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ხ. მჭედლიძე, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.

მხატვრული რედაქტორი ლ. შენგელია.

რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/II-61 წ. ქაღალდის ზომა 60×92. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75, პირობით ფორმატთა რაოდ. 5,3.

რედაქციის მისამართი—სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 3-68-71.

ტირაჟი 45.000. ფასი 30 კაპ.

შეკვეთის № 19 უე 03018

სსქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал „Сабчота Кали".

Издательство ЦК КП Грузии.







# ქიურის იმა სუმაკი



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეს ქალიშვილი მერი კვაჭანტირაძეა, საგარეჯოს რაიონის სოფელ სართიჭალის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მწველავი. ორი წლის წინათ, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, დაიწყო მან მუშაობა მეურნეობაში. მალე გაითქვა სახელი, როგორც ეოწინავე მწველავმა. შარშან 12 ძროხას უვლიდა, თვითეულიდან 5.400 კილოგრამი რძე მიიღო.

თებერვლის დამდეგს ახალგაზრდა მწველავს დიდი სიხარული ეწვია — იგი მიიწვიეს ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე, რომლის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი. მერი თათბირზე სიტყვით გამოვიდა და პირობა მისცა თათბირის მონაწილეებს, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს, რომ 25 ძროხიდან, რომლებსაც იგი ამჟამად უვლის, თვითეულის წველადობას 6 ათას კილოგრამამდე გაზრდის.

დაძაბული ყურადღებით უსმენდა ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის სიტყვას მერი: მერე თავისი გვარი მოესმა, მოწინავეთა შორის ასახელებდა მას საბჭოთა მთავრობის მეთაური. ასეთი რა გავაკეთეო — გაიფიქრა და გაწითლდა, როცა ამხანაგმა ნიკიტა სერგის ძემ ახალგაზრდებს მოუწოდა მიებაძათ მისი მაგალითისათვის.

ფოტო გ. ვახტანგაძის და ვ. გინზბურგის